პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი | № 196 (11807) | ოთხშაბათი, 24 აგვისტო, 1960 წ. | ფასი 20 კაპ.

საკავშირო ბიბლიოთეკა

მეცნიერული კვლევის პროგრამა წარმატებით შესრულდა

ნახატი ი. ქოქიაშვილისა.

დაწვრილებითი ცნობები კოსმოსური ხომალდის „მგზავრების“ შესახებ

1960 წლის 21 აგვისტოს მოსკოვში ჩამოიყვანეს ცხოველები, რომლებიც ისტორიაში პირველად დაბრუნდნენ კოსმოსურ სივრცეში ფრენიდან.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, მეორე საბჭოთა კოსმოსური თანამგზავრი ხომალდით საფრენად გაიგზავნა ძაღლები „სტრელკა“ და „ბელკა“. მათ გარდა, რადიაციის გავლენისა და კოსმოსური ფრენის პირობების შესასწავლად გაიგზავნა სხვა ცხოველებიც — 40 თაგვი, 2 ვირთაგვა, მწერები, მცენარეები, პურეულის მარცვალი და ზოგიერთი მიკრობი.

თანამგზავრ ხომალდის კაბინით იფრინა 13 თეთრმა ლაბორატორიულმა და 15 შავმა თაგვმა და ორმა თეთრმა ვირთაგვამ. კატაპულტირებულ კონტეინერში, „ბელკას“ და „სტრელკას“ გარდა, იყო 6 თეთრი და 6 შავი თაგვი, მწერები — დროზოფილები 15 კოლბით, მცენარე — ტრადესკანცია 2 კოლბით, მცენარე ქლორელა 8 ამპულით თხევად მასაზრდოებელ გარემოში სუსპენზიების სახით და კიდევ 4 ამპულით, სოკოვანი კულტურები — აქტინომიცეტები — 14 ამპულა, სიმინდის, სხვადასხვა ჯიშის ხორბლის, ბარდის, ხახვისა და ნიგელის თესლი.

გარდა ამისა, კონტეინერში მოთავსებული იყო ადამიანისა და ბოცვრის კანის პატარა ნაჭრები 2 ამპულით, ჰელის კიბოს უჯრედები 6 ამპულით, მიკრობები: ნაწლავის ჩხირი „კკ-12“ 11 ამპულით, ნაწლავის ჩხირი „ბ“ 6 ამპულით, ნაწლავის ჩხირი „აეროგენესის“ ტიპისა 4 ამპულით, ჩხირი — ზეთიან — მჟავე დუღილისა 2 ამპულით, სტაფილოკოკები 2 ამპულით, დეზოქსინუკლეინმჟავა 6 ამპულით, ბაქტერიოფაგი „ტ-2“ 3 ამპულით და ბაქტერიოფაგი 13-21 3 ამპულით.

მეცნიერული კვლევის საწარმოებლად კოსმოსურ ხომალდზე დადგმული იყო აპარატურა:

— პირველი კოსმოსური გამოსხივების მსუბუქი და მძიმე ბირთვების გამოსაკვლევად;

— მზის რენტგენული და ულტრაიისფერი გამოსხივების გამოსაკვლევად;

— ცხოველთა კონტეინერში კოსმოსური რადიაციის დონეების (დოზების) რეგისტრაციისათვის.

ხომალდზე განლაგებული იყო სქელშრეებიანი ბირთვული ფოტოემულსიების ბლოკები, რომელთა საერთო წონა უდრიდა დაახლოებით 60 კილოგრამს, ამასთან ერთ-ერთ ფოტოემულსიურ ბლოკში გათვალისწინებული იყო ფოტოემულსიების გამომძღვანება უშუალოდ ხომალდზე.

მეცნიერულ ინფორმაცია აღიბეჭდებოდა და ბრძანებით გადმოეცემოდა დედამიწაზე. ამასთან აღბეჭდილი ინფორმაციის დედამიწაზე გადმოცემა ხდებოდა დედამიწის გარშემო ხომალდის ყოველი შემოვლის შემდეგ, აგრეთვე დაჯდომის წინ.

გარდა ამისა, დაშვების პროცესში ბორტზე რეგისტრაციის ავტონომიური სისტემის საშუალებით განუწყვეტლივ აღინიშნებოდა საცდელ ცხოველთა ფიზიოლოგიური მონაცემების ცვლილებანი.

ბირთვულფოტოემულსიანი ბლოკები და მეცნიერული კვლევის მთელი აპარატურა დაბრუნდა დედამიწაზე ხომალდით.

თანამგზავრ ხომალდზე დადგმულმა სატელევიზიო სისტემამ მოგვცა ბევრი ძვირფასი ინფორმაცია, რომელიც გადაღებულია კინოფილმების სახით. გამოსახულებათა რეგისტრაცია დიდი სიზუსტით იყო სინქრონიზებული ტელემეტრიული ინფორმაციის ჩანაწერებთან, რაც საშუალებას იძლევა ცხოველებზე უშუალო დაკვირვება შევადაროთ ობიექტურ მონაცემებს მათი ფიზიოლოგიური ფუნქციების ცვლილებათა შესახებ, რომლებიც დედამიწაზე გადმოცემულია ტელემეტრიული სისტემის საშუალებით.

მეორე საბჭოთა თანამგზავრი ხომალდის ორბიტის ელემენტების დამატებით წარმოებულმა გაანგარიშებამ დაადასტურა, რომ მისი ფრენა მთელი დროის განმავლობაში მიმდინარეობდა ორბიტით, რომელიც ძალიან ახლოა ნავარაუდევთან.

სხვადასხვა ფაქტორის ზუსტმა აღრიცხვამ, რომლებიც გავლენას ახდენენ კოსმოსური ხომალდის მოძრაობასა და დაშვებაზე, მისი ორბიტის ელემენტების გაზომვის შედეგების განუწყვეტელმა დამუშავებამ ელექტრონულ გამოსათვლელი მანქანებით და მის ცვლილებათა აღრიცხვამ, როგორც წინათ ვიუწყებოდით, შესაძლებელი გახადა დიდი სიზუსტით განხორციელებულიყო ხომალდის დაშვება.

კოსმოსური ხომალდისა და იქიდან კატაპულტირებული კონტეინერის დაშვების დროს და დაჯდომის შემდეგ ხომალდზე და კონტეინერში დადგმული სპეციალური რადიოგადამცემები გამოასხივებდნენ რადიოსიგნალებს. ამან შესაძლებელი გახადა ხომალდისა და კონტეინერის მდებარეობის ადგილების განუწყვეტელი პელენგაცია და მათზე თვალყურის დევნება დაშვების ადგილამდე.

ყველა ცხოველი და ბიოლოგიური ობიექტი კარგ მდგომარეობაშია.

მეცნიერული კვლევისა და გაზომვის პროგრამა შესრულებულია. ამჟამად წარმოებს მიღებული მონაცემების დამუშავება და ყოველმხრივ შესწავლა.

ა. ი. მიქოიანმა მიიღო

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ეგვიპტის რაიონის საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრი მ. არაფი

23 აგვისტოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. ი. მიქოიანმა მიიღო მოსკოვში მყოფი არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ეგვიპტის რაიონის საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრი, ასუანის მაღლივი კაშხალის მშენებლობის კომიტეტის თავმჯდომარე ძუსა არაფი მისი თხოვნით.

მიღების დროს გაიმართა მეგობრული საუბარი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ელჩმა სსრ კავშირში მ. ა. ელ-კუნმა და ასუანის მაღლივი კაშხალის მშენებლობის მთავარმა საბჭოთა ექსპერტმა ი. ვ. კომზინმა.

ჩეხოსლოვაკიაში ჩავიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პარტიულ მუშაკთა დელეგაცია

პრაღა, 23 აგვისტო. (საკდესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, გუშინ პრაღას ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პარტიულ მუშაკთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ ბიუროს წევრი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. პ. ნ. დემიჩევი. ჩეხოსლოვაკიაში ორი კვირით ყოფნის დროს საბჭოთა სტუმრები გაეცნობიან ჩეხოსლოვაკელი ხალხის ცხოვრებასა და შრომას და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის გამოცდილებას სოციალიზმის მშენებლობის საქმეში.

პრაღაში ყოფნის პირველ დღეს დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს დედაქალაქი და ეწვივნენ გამოფენას „1960 წლის ჩეხოსლოვაკია“.

საზეიმო კრება მოსკოვში

საზღვარგარეთის ქვეყნების ხალხებთან მეგობრობის სახლში 22 აგვისტოს რუმინელი ხალხის ეროვნული დღესასწაულის — ფაშისმისაგან განთავისუფლების დღის აღსანიშნავად გაიმართა დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა საზეიმო კრება.

გახსნა რა კრება, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ე. კ. რაგიზინმა კრების დამსწრე რუმინელ მეგობრებს მიულოცა დღესასწაული და უსურვა ახალი მიღწევები მათი სამშობლოს სოციალისტურ გარდაქმნაში.

მოხსენება ფაშისტური უღლისაგან რუმინეთის განთავისუფლების 16 წლისთავის შესახებ გააკეთა საბჭოთა კავშირ-რუმინეთის მეგობრობის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ, რუსეთის სფსრ განათლების მინისტრმა ე. ი. აფანასენკომ.

კრების მონაწილეები გულთბილად შეხვდნენ საბჭოთა კავშირი რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩის ნიკოლაე გეუნეს გამოსვლას.

საზეიმო კრებაში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირთან რუმინეთის მეგობრული ურთიერთობის საზოგადოების დელეგაციის წევრებმა, რომლებიც მოსკოვში სტუმრად არიან, აკადემიკოს რალუკა რიპანის მეთაურობით, რუმინეთის საელჩოს თანამშრომლებმა და სხვა რუმინელმა სტუმრებმა. (საკდესი).

რა გააკეთეთ თქვენ სკოლისათვის?

პარტიამ და მთავრობამ ამას წინათ მიიღეს სპეციალური დადგენილება სასკოლო მშენებლობისა და სკოლების მატერიალური ბაზის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ.

ცნობილია, რომ სავალდებულო რვაწლიანი საყოველთაო სწავლების განხორციელება, საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი საწარმოო სწავლების პოლიტექნიკური სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და გახანგრძლივებული დღის სწავლების სკოლების ქსელის ფართოდ განვითარება მოითხოვს მატერიალური ბაზის მნიშვნელოვან გაფართოებასა და განმტკიცებას.

სწორედ ამიტომ იყო, რომ პარტიამ და მთავრობამ სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და მათი საერთო საცხოვრებლების მშენებლობის გეგმების დროული შესრულების უზრუნველყოფის, სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის გაუმჯობესების მიზნით გათვალისწინებულ დამატებით კაპიტალურ დაბანდებათა გამოყოფა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო შენობებისა და სკოლა-ინტერნატების მშენებლობისათვის იმ მოცულობის გადამეტებით, რაც დაწესებულია შვიდწლიანი გეგმის საკონტროლო ციფრებით.

სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებათა შენობების მშენებლობა რესპუბლიკაში წარმოებს როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით, ისე კოლმეურნეობათა ხარჯზე და მათი ძალებით, აგრეთვე შეთი საწარმოების მატერიალური მხარდაჭერით. წელს ბიუჯეტის სახსრებით შენდება 112 ახალი სასკოლო შენობა, რაზეც 93.390 ათასი მანეთი იხარჯება. ამ სასკოლო შენობებიდან წელს 55 ობიექტის მშენებლობა უნდა დამთავრდეს.

სახარბიელო სურათი ვერა გვაქვს გეგმის შესრულების საქმეში. შვიდი თვის გეგმა 73 პროცენტით არის შესრულებული, წლიური — მხოლოდ 44 პროცენტით. განსაკუთრებით დიდი ჩამორჩენაა ბაგა-ბაღების მშენებლობაზე, საიდაც 7 თვის გეგმა მხოლოდ 40 პროცენტით არის შესრულებული. კოლმეურნეობათა ინიციატივით და მათი სახსრებით ასაშენებელი 62 სკოლიდან დამთავრებულია 28 სკოლა, ხოლო მისაშენებელი და დასაშენებელი 220 ოთახიდან მხოლოდ 92 ოთახი. ჩამორჩება სკოლების კაპიტალური რემონტიც.

ჩვენს რესპუბლიკაში დროულად დაიწყო მზადება ახალი სასწავლო წლისათვის. ამ საქმეში სკოლებთან და სახალხო განათლების ორგანოებთან ერთად ფართოდ ჩაბმულ იქნენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები, კოლმეურნეობები, შეფი საწარმოები. დიდი გამოხმაურება ჰპოვა და ეფექტიანი შედეგები გამოიღო გორის რაიონის მშრომელთა პატრიოტულმა თაოსნობამ 1960-1961 სასწავლო წლისათვის უკეთ მოსამზადებლად სოციალისტური შეჯიბრების გაშლაში.

იქ, სადაც პარტიული ორგანიზაციები სათავეში ჩაუდგნენ ახალი სასწავლო წლისათვის მზადებას და სწორად წარმართეს მასების, მშენებლების ინიციატივა და საქმიანობა, მდგომარეობაც კარგია. ამ მხრივ მისაბაძია გორისა და გურჯაანის რაიონული და ბათუმის საქალაქო პარტიული ორგანიზაციების კარგი მუშაობა. ისინი ყოველდღიურად ხელმძღვანელობდნენ და კონტროლს უწევდნენ ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების მზადების საქმეს, ახალი შენობების მშენებლობის ტემპებს. ბათუმში უკვე მზად არის ორი ახალი სკოლა-ინტერნატი, გორის, ატენისა და გურჯაანის სკოლა-ინტერნატები მომზადებული მოელიან სექტემბრის ზარის აწკრიალებას. მზად არის ამ რაიონებში და ქალაქში საერთო სკოლები. მაგრამ ბევრგან კვლავ გრძელდება ჩამორჩენა. კასპისა და ახალქალაქის სკოლა-ინტერნატების, გალის, ქარელის, ყვარლის, ლენტეხის, საჩხერის და ჭიათურის სკოლების მშენებლობა ჭიანურდება.

სახალხო მეურნეობის საბჭოს და საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს საწარმოებმა ვერ შეასრულეს სასკოლო ინვენტარის დამზადებისა და ჩაბარების სახელმწიფო გეგმა. სკოლებს დააკლეს ათასობით მერხი, დაფა, მაგიდა, კარადა. სრულებით არ დაუმზადებიათ ქიმიის, ფიზიკის სასწავლო კაბინეტებისათვის სპეციალური კარადები და სადემონსტრაციო მაგიდები. სახალხო მეურნეობის საბჭოს ქაღალდისა და ტყის მრეწველობის სამმართველოს ბევრი ფაბრიკის მიერ დამზადებული სასკოლო ავეჯი ცუდი ხარისხისაა.

წელს პირველად შეასრულა დროზე სახელმძღვანელოების გამოცემის გეგმა გამომცემლობა „ცოდნამ“, რაც მისი კოლექტივის ენერგიული შრომის შედეგია. რესპუბლიკის მოსწავლე ახალგაზრდობამ მიიღო 108 სახელწოდების სახელმძღვანელოები 3.063 ათასი ცალი საერთო ტირაჟით.

სექტემბერი ახლოვდება.

ახლა მთელი ძალების დარაზმვაა საჭირო, რათა დარჩენილ დროში რაც შეიძლება გამოსწორდეს ნაკლოვანებანი და ჩამორჩენა. პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა სახალხო განათლების ორგანოებთან ერთად ყველა ღონისძიება უნდა მიიღონ ამისათვის.

რა გააკეთეთ, რას აკეთებთ თქვენ სკოლისათვის?

გუშინ ჩაის კლანტაციებში

◆ **მახარაძე.** ვალდებულების ანგარიშში დღისათვის მოკრეფილია 657 ტონა ჩაი. გუშინ 198 ტონა ჩაის ახალი ნედლეული ჩაბარდა სახელმწიფოს.

სოფელ ნაგომარის კოლმეურნეობაში ლეილა მაღულარიამ გუშინ 94 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფა, **ნაზი გურგენიძემ** — 85, სოციალისტური შრომის გმირმა თამარ ტაღლაშმა სოფელ ძიმითის კოლმეურნეობაში — 67 კილოგრამი და კრეფის დღიური ნორმა სამმაგად შეასრულა. ჩაის კრეფაში სახელი გაითქვა სოფელ ჯუმათის კოლმეურნეობის მეჩაიემ **ლამარა სალუქვაძემ,** რომელმაც გუშინ 70 კილოგრამი ჩაის ნედლეული შეტანა ქარხანას.

◆ **ცხაკაია.** რაიონში ჩაის კრეფის წლიური გეგმა შესრულებულია 94,3 პროცენტით. სოფელ ხორშის კოლმეურნეობა „გამარჯვების“ ნოვატორმა მეჩაიემ **გოგუცა გუგუნავამ** ვალდებულებით გათვალისწინებულ ათი ტონის ნაცვლად სახელმწიფოს თორმეტი ტონა ჩაის ნედლეული მისცა. გუშინ მან 85 კილოგრამი ჩაი მოკრიფა. ამავე სოფლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში **ბუეღუ გუნავამ** 67 კილოგრამი ჩაი მოკრიფა. **ვენერა პაპკორიამ** — 45, **ნათია ბახიამ** — 51, **ნანუცა გვასალიამ** — 35 კილოგრამი.

◆ **ქობულეთი.** გეგმით გათვალისწინებული 17.430-ის ნაცვლად მოკრეფილია და სახელმწიფოს ჩაბარდა 17.529,9 ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი. გუშინ რაიონის მეჩაიეებმა 100,4 ტონა „მწვანე ოქრო“ მისცეს სამშობლოს.

ემინე ზაქარიაძემ სოფელ ქაქუთის კოლმეურნეობაში გუშინ 64 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფა. **რუქიე ტაკიძემ** — სოფელ გვარას ენგელსის სახელობის კოლმეურნეობაში — 56, **გულიკო პაპუნაშვილმა** — 45 კილოგრამი.

ჩაის კრეფს თალიკო ჟვანია

გალის რაიონის სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობას ბევრი სახელგანთქმული მეჩაიე ჰყავს. სოციალისტური შრომის გმირების ნათელი დალება ბულუსკერიების სახელი მთელ რესპუბლიკაშია ცნობილი. მათ სხვა რაიონებშიც გამოუჩნდნენ მიმდევრები. ბევრი თანასოფლელიც ბაძავს შრომაში. მათ შორის თალიკო ჟვანია ერთ-ერთი პირველია. 0,5 ჰექტარზე მას გეგმით 2 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი უნდა მოეკრიფა, თალიკომ კი ოთხ ტონაზე მეტი მოკრიფა.

ჩაის კრეფისა და მოვლა-პატრონობის ოსტატის სახელი თ. ჟვანიამ საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მოიპოვა. ოქუმში გამრჯე ქალიშვილს მარჯვენას ყველა უქებს. იგი ამავე დროს ემზადება, რომ დაოსწრებლად განაგრძოს სწავლა უმაღლეს სასწავლებელში.

მეჩაიე ქალიშვილმა დამატებით იკისრა სეზონის ბოლომდე კიდევ მოკრიფოს 1.000 კილოგრამი მწვანე ფოთოლი. იგი ახლა ყოველდღიურად 60-70 კილოგრამ ჩაის კრეფს.

* * *

სურათზე: თ. ჟვანია.

ტექსტი და ფოტო **ვ. გოზალიშვილისა.**

გამოფენაზეა ხალხური მხატვრული ნაწარმი

ორი კვირაა მოსკოვში ცენტრალურ საგამოფენო დარბაზში გახსნილია სრულად რუსეთის გამოფენა — ხალხური მხატვრული ნაწარმის დათვალიერება. ფედოსკინისა და ზაგორსკის, ხოხლომისა და ვლადიმირის, ტორჟოკისა და მსტერის, კროვისა და ხოლმოგორის, კუბაჩის, ტობოლსკისა და ათობით სხვა არტელის ხელმარჯვე ოსტატების მიერ შექმნილი ნაწარმის განსაცვიფრებელი სილამაზე იპყრობს მოსკოველებისა და დედაქალაქის სტუმრების ყურადღებას. ორ კვირაში გამოფენა 60 ათასზე მეტმა კაცმა ნახა.

23 აგვისტოს ცენტრალურ საგამოფენო დარბაზში იყვნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ი. მიქოიანი, მ. ა. სუსლოვი, პ. ნ. პოსპელოვი. სტუმრები მიიღო და ახსნა-განმარტება მისცა რუსეთის სარეწაო საბჭოს გამგეობის თავმჯდომარემ ა. პ. ზაგოველიევმა.

ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დაქგადების გეგმის შესრულება

20 აგვისტოსათვის მოკრეფილი იყო 133.405 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, წლიური გეგმა შესრულებულია 96,7 პროცენტით.

	გეგმა		შესრულება		შესრულების %	
	1960 წლის	აგვისტო	სეზონის დაწყებიდან	აგვისტო	წლიური გეგმა	აგვისტო
აბხაზის სსრ	23600	5310	23189	3075	98,3	57,9
აქედან:						
ბათუმის	6070	1379	5766	798	95.0	57,9
ქობულეთის	17430	3906	17287	2256	99.2	57,8
ქედის	100	25	136	21	136.0	84,0
აფხაზეთის სსრ	22730	5299	22125	3221	97,3	60,8
აქედან:						
გალის	11610	2685	11405	1816	98,2	67,6
ოჩამჩირის	7670	1800	7113	966	92,7	53,7
სოხუმის	1050	249	1075	114	102.2	45,8
გუდაუთის	2400	569	2534	325	105,6	57,1
მახარაძის	27400	6303	27688	3746	101,1	59,4
ჩოხატაურის	4200	968	4462	652	106,2	67,4
ლანჩხუთის	7700	1770	7651	1160	99,4	65.5
სამტრედიის	790	183	770	107	97.5	58,5
წულუკიძის	2550	585	2391	318	93.8	54.4
წყალტუბოს	2500	575	2583	332	101.3	57,7
ტყიბულის	2540	585	2727	294	106.9	50.3
ცხაკაიას	2900	668	2720	365	93.8	54.6
აბაშის	425	100	341	53	80,2	53.0
გეგეჭკორის	6840	1573	6157	1006	90.0	64.0
ზუგდიდის	17930	4122	15754	2263	87,9	54,9
წალენჯიხის	7935	1825	7340	1254	92,5	68,7
ჩხოროწყუს	5400	1241	5091	773	94,3	62,3
ხობის	2165	497	2038	282	94,1	56,7
თერჯოლის	200	50	217	17	108,5	34.0
ზესტაფონის	30	8	38	5	126,7	62,5
ჭ. ჭიათურა	110	27	113	13	102.7	48,1
ვანის	40	10	57	12	142,5	120,0
ქ. ფოთი	5	1	3	—	60,0	—
სულ საქართველოს სს რესპუბლიკაში	138000	31700	133405	18948	96,7	59,8
იყო 1959 წლის 20 აგვისტოსათვის	133000	33279	117073	16823	88,0	50,5
იყო 1960 წლის 15 აგვისტოსათვის	—	—	127754	13297	92,6	41,9

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო.

ისინი იყვნენ კოსმოსში...

დიდი ხნით დაამახსოვრდება ბევრს ეს შეხვედრა, რომელზეც ჟურნალისტებს საშუალება მიეცათ თავიანთი თვალით ენახათ საცდელი ცხოველები, რომლებიც კოსმოსში იყვნენ და მშვიდობით და უვნებლად დაბრუნდნენ დედამიწაზე. მოხდა გრანდიოზული ამბავი, რომლის მასშტაბი ძნელია აღინიშნოს მთელი სისრულით. კოსმოსურმა ხომალდმა დედამიწაზე დაბრუნა მსოფლიოში პირველი ცოცხალი „მიწიერი“ არსებანი, რომლებიც კოსმოსში იყვნენ.

აი გამოჩნდნენ ზეიმის მიზეზნი. ოთახში შემოჰყავთ წითელ და მწვანე ასალიანი ორი ძაღლი. ესენი არიან „სტრელკა“ და „ბელკა“, რომლებიც ჯერ კიდევ გასულ შაბათს დაფრინავდნენ კოსმოსის უსაზღვრო სივრცეებში. შემოაქვთ აგრეთვე კონტეინერები სხვა საცდელი ცხოველებით. რომლებიც კოსმოსში იყვნენ. ბადურ ტახრებს იქით მოსჩანან თეთრი და შავი თაგვები, თეთრი ვირთხა. მინის ჭურჭელშია მცენარის წვრილი ღერო. რომელზეც, როგორც ჩანს, არ მოუხდენია გავლენა კოსმოსს: იგი იქაც მშვენივრად ყვაოდა შემდეგ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერმა თანამშრომელმა ილაპარაკა კოსმოსში მედიკურ-ბიოლოგიური ცდის ძირითად ნიშნებზე.

— თქვენ ხედავთ. — განმარტავს მეცნიერი. — ორი სახეობის ლაბორატორიულ თაგვებს: თეთრებსა და შავებს. ამ სერიის შავი თაგვები განსაკუთრებით მოხერხებული არიან ყოველგვარი კვლევისათვის. რომელიც დაკავშირებულია ცოცხალი ორგანიზმების მემკვიდრეობითი თვისებების ცვლილებასთან. გარდა ამისა, ზოგიერთ ცვლილებას იწვევს კოსმოსური რადიაცია. მაგალითად, თუ ასეთი ზეგავლენა იყო, ცოტა ხნის შემდეგ ამ თაგვების ბეწვზე გაჩნდება ჭალარა თმები.

ზოგიერთი კვლევისათვის, რომელსაც შესაძლებელია ზოგადბიოლოგიური მნიშვნელობა აქვს, ხომალდში იყო ორი მცენარე. უჩვენა რა მცენარეებიანი ჭურჭელი, მეცნიერმა დამსწრეთა ყურადღება მიაპყრო იმას, რომ ჭურჭლის ძირში არის ერთი ნაჭერი მიწა, რომელმაც იფრინა კოსმოსურ სივრცეში, მეცნიერე „ხაზგასმით აღნიშნა მან, ყვაოდა მთელი ფრენის განმავლობაში.

შემდეგ მეცნიერმა აჩვენა პლექსიგლასის ორი კოლოფი ხეხილის წვრილი ბუზებით. ისინი კარგად არიან გამოკვლეულნი თაობებში მემკვიდრეობითი თვისებების გადაცემის თვალსაზრისით. აქ ყველა მამალი ბუზია და მათი შემდგომი თაობები დეტალურად იქნება შესწავლილი.

პრესაში უკვე იუწყებოდნენ. რომ ხომალდში იყო აგრეთვე მიკროსკოპული სოკოები და მთელი რიგი თვალით უხილავი ორგანიზმები. უკვე მიმდინარეობს მათი ლაბორატორიული დამუშავება. ვფიქრობ, — ამბობს მეცნიერი, — რომ ცოტა ხნის შემდეგ შეგვიძლება გიამბოთ, როგორ გადაიტანეს მათ კოსმოსში ყოფნა.

უპასუხა რა კითხვაზე ძაღლების ასაკის, ჯიშის შესახებ, მეცნიერმა თქვა, რომ ზუსტი საპასპორტო მონაცემები მან არ იცის. მაგრამ ცნობილია, რომ ისინი არ არიან წმინდა ჯიშისა. ჩვენ ჩვეულებრივად ვიყენებთ ასეთ ძაღლებს. რადგან ისინი ყველაზე გამძლე არიან ამგვარი ექსპერიმენტების წარმოებაში. ეს ძაღლები გამოირჩევიან დიდი მოსაზრებულობით და მშვიდი ზნით, გამოსადეგი არიან ყველა ლაბორატორიული და ბიოლოგიური კვლევისათვის.

ცხოველები წელიწადნახევარია ჩვენს ხელთ არიან. „სტრელკას“ ახაია დაახლოებით წელიწადნახევარი-ორი წელი, ხოლო „ბელკასი“ ორ წელიწადზე ცოტათი მეტი.

და მართლაც ძაღლები საოცრად მშვიდი ზნისა არიან.

— მათთვის ამ უჩვეულო შეხვედრის პირობებისაც კი, — ამბობს მეცნიერი, — ისინი სავსებით მშვიდად იტანენ.

ამახობაში ძაღლები ალერსიანად, მხიარულად უყურებდნენ დამსწრეთ. მეცნიერმა განმარტა: — ცხოველები ფიქრობენ, რომ იწვევენ მორიგი ექსპერიმენტები. ისინი შეეჩვევნენ ნამდვილ მუშაობას.

რით იკვებებიან ძაღლები, რა უყვართ მათ?

— ჩვენ ისინი გვყავს ორ ულუფაზე. პირველია ჩვეულებრივი, ორჯერ დღეში ყოველგვარი ფაფა ხორცის შენაცვლებით და ბლომად წყალი. გაფრენის წინ ისინი გადაიყვანეს მკაცრ რეჟიმზე. გარკვეული დროის მანძილზე ძაღლები იღებდნენ უფრო კალორიულ ულუფებრ საკვებს. ცხოველებს აჩვევენ საკვების მიღებას ადამიანის დაუხმარებლად სპეციალურ ავტომატურ მოწყობილობათა საშუალებით, რომლებიც მათ საჭმელს აძლევენ დღეღამეში ორჯერ:

— რატომ აქვთ მათ ტანსაცმელი?

— ცხოველთა სხეულში ჩაკერებულია სპეციალური გადამწოდები, რომლებიც იძლევიან გულის დენების რეგისტრაციის საშუალებას, რომ ეს გადამწოდები შემთხვევით არ მოძვრეს, ცხოველებს აცმევენ ასეთ ტანსაცმელს. საფრენად ისინი გაგზავნეს სპეციალური კოსმოსური ტანსაცმლით.

რა შეიძლება ითქვას ცხოველთა ქცევის შესახებ ფრენის დროს? როგორ ეჭირათ მათ თავი?

იქმნება შთაბეჭდილება, რომ ორივე ცხოველი მშვიდად იყო. მაგრამ, ბუნებრივია, იყო პერიოდები, როცა მათი აქტივობა ძლიერდებოდა. როცა რაკეტა ორბიტაზე გადიოდა, ცხოველებს, მაგალითად, მეტი მოუსვენრობა ეტყობოდათ, თუმცა ისინი ნავარჯიშევი იყვნენ. ასეთ დასკვნას ჩვენ ვაკეთებთ წინასწარი მონაცემების საფუძველზე, რომლებიც მივიღეთ ტელევიზორით ცხოველებისათვის თვალყურის დევნებისა და სპეციალური გადამწოდის ჩვენებების შედეგად. უწონადობის პირობებში იყო პერიოდები, როცა ცხოველთა მოძრაობითი აქტივობა რამდენადმე გაძლიერდა. ეს აიხსნება აგრეთვე იმით, რომ ჩავრთავდით რა ტელევიზორს, ჩვენ ვაძლიერებდით შუქს, სითბო მატულობდა და ყოველივე ეს იწვევდა ცხოველთა ერთგვარ მომეტებულ აქტივობას.

ეს ძაღლები განსხვავდებიან იმათგან, რომლებიც წინანდელ ფრენაში მონაწილეობდნენ?

ძაღლები, რომლებიც დაფრინავენ რაკეტების ვერტიკალურად გაშვების დროს, შეიძლება იყვნენ უფრო მოძრავი ზნისა და ხასიათის. ცხოველებს, რომლებმაც თანამგზავრი ხომალდით იფრინეს კოსმოსში, უფრო მაღალ მოთხოვნებს ვუყენებდით: მათ უნდა გადაეტანათ ახალი უჩვეულო პირობები და ხანგრძლივი მეთვალყურეობა.

„ბელკა“ იწონის 4900 და „სტრელკა“ — 5500 გრამს. (საკდესი).

მზად ხართ 1 სექტემბრისათვის?

მაჩვენებელი დადგენილება საქმეს არ შვეღის

ფამდაუფუმ წკრიალებს ტელეფონის ზარი. რეკავენ სკოლებიდან, რაიკომიდან, რაისაბჭოს აღმასკომიდან.

— „ჰო, სტალინის რაისაბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილებაა. დიახ, განყოფილების გამგე ვარლამ შანიძე გახლავართ. როგორ, თუნუქი გაკლიათ? კი მაგრამ, შეიმა ხომ საკმაო თუნუქი მოგცეთ. ჰო, კარგი. ნუ გვიწყდებათ პარტიის სტალინის რაიკომის ბიუროს დადგენილება. აი, ასეა. ზოგიერთი პირობის დადებს და მერე ავიწყდება, რომ შესრულება უნდა.

— როგორ არის რაიონში სკოლების რემონტის საქმე? — ვეკითხებით ქ. თბილისის სტალინის რაისაბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგეს ვ. შანიძეს.

— წელს ჩვენი რაიონის სკოლების კაპიტალურ რემონტზე მილიონ ორმოცი ათასი მანეთი უნდა დაიხარჯოს, ხოლო მიმდინარე რემონტზე — 100 ათას მანეთამდე. სკოლების რემონტს ატარებს რაისაბჭოს აღმასკომის სარემონტო კანტორა, რომელსაც კ. გოქსაძე ხელმძღვანელობს. ხელშეკრულებით რემონტი 25 ივლისს უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ ნაკისრი ვალდებულება დათქმულ ვადაზე ვერ შესრულდა, მეტ წილ სკოლებში აგვისტოს დამდეგისთვისაც არ იყო დამთავრებული. ამაზე 6 აგვისტოს პარტიის სტალინის რაიკომის ბიურომაც იმსჯელა.

სწორედ ამ დროს მდივანმა პაკეტი შემოიტანა. განათლების განყოფილების გამგეს ვ. შანიძეს დაუყოვნებლივ გახსნა. ეს რაიკომის ბიუროს დადგენილება იყო.

— აი, ხომ ხედავთ, ბიუროს დადგენილებით დღეს, 15 აგვისტოს უნდა დავამთავრებინათ რემონტი, მაგრამ... ვფიქრობთ სამ-ოთხ დღეში დავამთავრებთ რემონტს. ასე რომ სასწავლო წელს მომზადებული შევხვდებით (!)

უნდა ითქვას, რომ რაიონის სკოლების ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში აქტიურად მონაწილეობენ შეფები. ქ. თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველომ და ცეკავშირის საწარმოო კომბინატმა თავიანთი სახსრებითა და საშუალებებით შეაკეთეს მე-18 საშუალო სკოლის შენობა, ხოლო მაუდკამოლის კომბინატმა — 22-ე საშუალო სკოლის შენობა და ინვენტარი.

101-ე საშუალო სკოლაში შევედით. რემონტის ნარჩენებით, მასალებით მოფენილია ეზო, ხოლო პირველი სართულის დერეფნების იატაკი აყრილია და მიწა გადათხრილი. ცენტრალური გათბობისათვის მილები გაკეთდათ. სკოლის დირექტორი და სამუშაოთა მწარმოებელი ვეკითხეთ. ისინი დირექტორის კაბინეტში აღმოჩნდნენ. ის — ის იყო მათაც მიეღოთ პარტიის რაიკომის ბიუროს დადგენილება და კითხულობდნენ.

რატომ გაჭიანურდა კაპიტალური რემონტი? — ვკითხეთ მათ. რემონტის გაჭიანურების მთავარი მიზეზი, — ამბობს სამუშაოთა მწარმოებელი გათბობის გაყვანილობათა საქმეში ნ. ჭელიძე, — თბილისის საბჭოს აღმასკომის კეთილმოწყობის სამმართველოს მიერ სკოლის გათბობის გაყვანილობის ცუდად შედგენილი პროექტია. მისი გადაკეთება თვით მათთან შეთანხმებით ადგილზე, სამუშაოთა ჩატარების დროს მოგვიხდა.

— მართალი გითხრათ, — ამბობს სკოლის დირექტორი პ. ოდილაძე, — გათბობის გაყვანილობის პროექტი უსულგულოდ არის შედგენილი. ვიდრე ისინი აქ მოვიდოდნენ და ადგილზე ნახავდნენ, კარგა ხანი გავიდა, სამუშაო კი შეჩერებული იყო. ამან რემონტიც შეაფერხა.

ვ. გოზალიშვილი.

— სწორია, თქვა სტალინის სახელობის რაისაბჭოს აღმასკომის სარემონტო-სამშენებლო კანტორის მთავარმა ინჟინერმა ვ. თუთარაშვილმა. ისიც უნდა ითქვას, რომ „თბილმომარაგება“ დროულად ვერ გვამარაგებდა საჭირო მოწყობილობითა და მასალებით.

სარემონტო სამუშაოები ჭიანურდება აგრეთვე მეორე სკოლა-ინტერნატში. აქაც იგივე მიზეზია. მასალებით დროულად ვერ ამარაგებდნენ. მაგრამ 25-ე საშუალო სკოლაში (ქამოს ქ. № 52), სადაც რემონტზე მცირე თანხა — 15 ათასი მანეთია გამოყოფილი და არც თუ ისე დიდი რამეა შესაკეთებელი, მუშაობა შეუწყარებლად ჭიანურდება.

სასწავლო წელი, რომ იტყვიან, კარზეა მომდგარი. სტალინის რაისაბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების, სარემონტო-სამშენებლო კანტორისა და რაიონის ხელმძღვანელობის მთელი ენერგიის დაძაბვაა საჭირო, რომ ეს ნაკლოვანებანი რაც შეიძლება სწრაფად იქნას გამოსწორებული.

ქეგოტფელეგთან

ახალგაზრდა ქალი სიხარულით შესცქერის შენობის კედლებს, რომლებიც სწრაფი ტემპით მიიწევს მაღლა. მშენებლები საქმიანად ბაასობენ:

— ორ დღეში დავამთავრებთ კედლების ამოყვანას, — ამბობს მოხუცი კალატოზი.

— უფრო ადრეც, —უპასუხებს ხელქაფჩიანი ახალგაზრდა და ხარაჩოზე თამამად დააბოტებს.

— ყველაფერს მოვასწრებთ, დამთავრებული შენობით შევხვდებით სექტემბრის ზარის წკრიალს! — ზარივით რეკავს დამხმარე მუშების ხმა. ჩქარობენ შრომისმოყვარე ადამიანები.

ყველაზე ძალიან კი მაინც ახალგაზრდა ქალს ეჩქარება. თამარი დილიდან საღამომდე მშენებლებთან ტრიალებს, ხელმძღვანელობს სკოლის კაპიტალურ რემონტს...

ქებოტის 7-წლიანი სკოლა ერთ-ერთი მოწინავეა თიანეთის რაიონში. იგი პირველი ეხმაურება ყველა ახალ წამოწყებას და მუდამ წარმატებით აკვირგვინებს დაწყებულ საქმეს. აქ წელს დროულად დამთავრდა სასკოლო შენობისა და ინვენტარის შეკეთება. მაგრამ ამით როდი დაკმაყოფილდნენ. გადაწყვიტეს ააშენონ 4 ახალი საკლასო ოთახი და სკოლა ერთ ცვლად სწავლებაზე გადაიყვანონ.

ღიმილი არ უქრება სახიდან სკოლის დირექტორს თამარ ფუნთუშაშვილს. კედლებთან ერთად მაღლდება მისი სიხარული.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში მოსწავლეებიც მონაწილეობენ. — ეხმარებიან კალატოზებს, უვლიან სკოლის ეზოში გაშენებულ ბაღსა და ვენახს. საამაყოა, რომ მათ მაღალმთიანი სოფლის პირობებში მშვენივრად გაახარეს ვაზის უხვმოსავლიანი ჯიშები „ჩინური“ და „პინო“. ნორჩი ნატურალისტები თავს ევლებიან საკუთარ ჭირნახულს.

ქებოტელი პიონერები სიხარულით შეხვდნენ დუშელთა მოწოდებას სასკოლო საფუტკრეების მოწყობის შესახებ და ახლა მათ ფუტკრის 4 ძლიერი ოჯახი ჰყავთ.

ნორჩ მეფუტკრეებს არც ნორჩი მეფრინველეები ჩამორჩებიან. მათ მექათმეობიდან მიღებული შემოსავლით მუსიკალური ინსტრუმენტები შეიძინეს სიმღერისა და ცეკვის გუნდისათვის.

თამარ ფუნთუშაშვილი.

თამარი პატარების კარგი აღმზრდელი და მეგობარია. სიყვარულით ეპყრობა ვამრჯე და მუყაით მოსწავლეებს. ეხმარება სწავლასა და შრომაში. ხალისიანი ყმაწვილები ზუსტად ასრულებენ დირექტორის რჩევა-დარიგებას და თავიანთი საქმიანობით სანაქებონი არიან.

პატარების ფუსფუსით გულკამთბარი თამარი ხშირად დაფიქრდება. მის თვალწინ გარბენენ განვლილი წლები; და გაუკვირდება, რომ ფშაველი ქალი ცხოვრების ვიწრო ბილიკიდან ფართო შარაგზაზე გამოვიდა.

...უსწავლელი დედა ეჭვის თვალით უყურებდა წიგნებს. მისი სიტყვები ახლაც ჩაესმის თამარს ყურში:

— წიგნები შენი საქმე არ არის, ფარდაგები მოქსოვე და მზითევი მოიმზადე, ჩვენს გვარში ნასწავლი სხვა ვინ ყოფილა, რომ შენ გამოხვიდე!

ახლა ხვდება თამარი დუხჭირი ცხოვრებით დაბერებული ქალის გულისთქმას და აღარ ამტყუნებს დედას. თუმცა არც თვითონ არის გასამტყუნარი, დედის რჩევას რომ არ გაჰყვა და ფუნთუშაშვილების მომხიბლავი ჰანგი მზის სხივებივით ედებოდა მთათა მწვერვალებს... ბატკნების მწყემსი პატარა გოგონა გულის თრთოლვით უსმენდა დიდ მომღერალს და მისი წმინდა ოცნება სადღაც შორს ლურჯ სივრცეში იკარგებოდა...

მიზანი მიღწეულია. დღეს თამარ ფუნთუშაშვილი ბედნიერი თაობის აღზრდის საქმეს მთელი მონდომებით ემსახურება. სწამს მათი წინსვლა და ნათელი მომავალი. მთიელებს ოქტომბრის შუქმა გული გაუხსნა და თვალი აუხილა. ფშაველები და ხევსურები მტკიცედ დადგნენ კომუნიზმის ხარაჩოებზე. მცირედი წვლილი თამარსაც შეაქვს ამ დიადი მიზნის განხორციელებაში. მან ენერგიული მუშაობით ბევრჯერ დაიმსახურა უფროსების მადლობა, მოწინავე ქალთა რიგებში ჩადგა...

ახლოვდება სექტემბრის ნათელი დილა. ფართო და კეთილმოწყობილ ოთახებში მშვიდობის მტრედებივით მოიალათებენ პატარები. მათთან იქნება თამარიც. ერთად იგრძნობენ სექტემბრის ზარის წკრიალით გამოწვეულ სიხარულს, ერთად შეიტკბობენ ერთ ცვლად სწავლების უპირატესობას.

აი, რატომ კიაფობს ღიმილის შუქი თამარ ფუნთუშაშვილის თვალებში.

გიორგი გიგაური.

თიანეთი.

თქვენთვის, მოსწავლეებო!

ციფრები და ფაქტები

◆ წელს ბიუჯეტის სახსრებით შენდება 112 ახალი შენობა, რაზეც 93.390 ათასი მანეთი უნდა დაიხარჯოს. წელს უნდა დამთავრდეს 55 ობიექტის მშენებლობა.

◆ წელს მთავრდება მშენებლობა სკოლა-ინტერნატების 10 სასწავლო კორპუსისა 4.230 მოსწავლისათვის, 17 საძინებელი და სამეურნეო კორპუსებისა — 26.500 კვადრატულ მეტრ საერთო ფართობით, 20 სასკოლო შენობისა 9.120 მოსწავლის ადგილით, 8 ბაგა-ბაღისა 1.040 აღსაზრდელისათვის.

◆ წელსვე უნდა დამთავრდეს 14 სკოლის რეკონსტრუქცია 5.700 მოსწავლის ადგილით.

◆ დამთავრდა 616 სკოლის, 103 სბავშვო ბაღისა და 37 სხვა სბავშვო დაწესებულების შენობების კაპიტალური რემონტი.

◆ სწავლის საქმეს მოემსახურება სასწავლო კაბინეტები, ლაბორატორიები და სახელოსნოები. 1 აგვისტოსათვის შეძენილი იყო 11.178.584 მანეთის იარაღ-მოწყობილობა და თვალსაჩინო ხელსაწყოები.

◆ უკვე დაიბეჭდა 108 სახელწოდების სასკოლო სახელმძღვანელოები 3.063 ათასი ცალი ტირაჟით.

დერეკლიძის 51-ე სკოლა-მეექვსეულის ქუჩაზე. თაობები აღუზრდია მას. ათასობით ახალგაზრდას აუდგამს აქ ფეხი ცხოვრებაში გასასვლელ-დერეფანზე. დაუცქერია მანქანების საფუძვლებს. ნად არ ნატვრა დღეს ამ სკოლის ავტორიტეტს, რომ ... ეუნუნა რომელ კუთხეში არ არიან ისინი, ჩვენი ცხოვრების რომელ უბანზე არ იღწვიან. ბევრნი, ძალიან ბევრნი ამ სკოლის კურსდამთავრებულნი კვლავაც განაგრძობენ სწავლას, რომ სპეციალობას დაუფლებულნი, კომუნიზმის შენებული მშენებლები გახდნენ.

ასობით ახალგაზრდა სწავლობს ამჟამად ამ სკოლაში. საზაფხულო არდადეგები იწურება. სულ მალე დაუბრუნდებიან ისინი მშობლიურ სკოლას, დასვენებულნი, გაჯანსაღებულნი.

მაგრამ მათ დაბრუნებამდე დიდი ხნით ადრე მოვიდნენ სკოლაში და კეთილშობილურ შრომას შეუდგნენ მასწავლებლები. მათ ახლა ძალიან ბევრი საქმე აქვთ — მოამზადონ სკოლა იმისათვის, რომ პირველი სექტემბრიდან სწავლა შეუფერხებლად და ნორმალურად წარიმართოს.

ამ სურათზე თქვენ ხედავთ სკოლის პედაგოგ-მასწავლებლების მხოლოდ ერთ ჯგუფს. მარცხნიდან მარჯვნივ: დაწყებითი კლასის მასწავლებელი ლ. წიკვიშვილაძე, ბუნებისმეტყველების მასწავლებელი ლ. მუშკუდიანი, დირექტორი სკოლის დამსახურებული მასწავლებელი ძ. ჩიჩუა და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ლ. გონაძე.

ფოტო ბ. დადვაძისა.

ჭორროხის პირას

ბათუმის რაიონის სოფელ კირნათის სკოლა-ინტერნატი 1959 წელს გაიხსნა. სკოლამ 120 აღსაზრდელი მიიღო რაიონის სხვადასხვა კუთხიდან.

სპეციალური შენობის უქონლობის გამო ინტერნატი მოეწყო საშუალო სკოლის შენობის ბაზაზე. იმავე წელს აშენდა სასადილოს ტიპური შენობა, სამრეცხაო და ამანო, სკოლას დაუშენეს მეორე სართული აღსაზრდელთა საერთო საცხოვრებლისათვის.

ახალი სასწავლო წლისათვის კირნათის სკოლა-ინტერნატში 220 მოსწავლეს მიიღებენ. სკოლაში ძირითადი სარემონტო სამუშაოები დამთავრებულია. აღსაზრდელებს მიელის თეთრად შეფენილი საკლასო ოთახები, კრიალა მერხები, შეძენილ იქნა 15 ათასი მანეთის სხვადასხვა თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღები და ინვენტარი.

მალე კირნათელები ახალ შესანიშნავ საჩუქარს მიიღებენ — ნოემბერში საექსპლოატაციოდ გადაეცემა სკოლა-ინტერნატის ოთხსართულიანი შენობა, რომელიც მდ. ჭოროხის ნაპირზე შენდება. ამჟამად მიმდინარეობს მეოთხე სართულის შენებლობა. სამუშაოებზე მექანიზმების გამოყენებამ და შრომის ახალმა მეთოდებმა სათანადო შედეგი გამოიღო: ერთსა და იმავე დროს მიმდინარეობს მეოთხე სართულის კედლების აყვანა და პირველ-მეორე სართულების ოთახებში დასამთავრებელი სამუშაოები. მშენებლობაზე სართულთშორისი გადახურვისათვის გამოყენებულია ბეტონის ფილები.

ინტერნატის მშენებლობაზე გამოყოფილი მილიონ სამასი ათასი მანეთი, სიდიდანაც მშენებლებმა უკვე აითვისეს შვიდასი ათას მანეთამდე.

მალე ბავშვთა ჟრიამული აავსებს ჭოროხისპირა ამწვანებულ მიდამოებს.

თ. კეკელაშვილი.

ბავშვთა ბიბლიოთეკა

ერის ბიბლიოთეკა

ბავშვ

ბავ

ბ

ბ

ბ

უფრო მჯიღედ ვებრძოლოთ ანგისაზოგადოებრივ მოვლენებს

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პლენუმი

საბჭოთა ხალხმა, რომელიც წარმატებით ახორციელებს სკკპ XXI ყრილობისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებებს, დიდი წარმატებები მოიპოვა ეკონომიკისა და კულტურის ყველა დარგში. განუწყვეტლივ უმჯობესდება მშრომელთა ყოფიერება. ფართოდდება მოძრაობა კომუნისტური შრომისათვის. საბჭოთა ადამიანების ფიქრი, გრძნობა და საქმე მეტადაა ერთიანი ამისადმი, რომ ვადამდე შეასრულონ შვიდწლიანის დავალებანი, განამტკიცონ სოციალისტური სახელმწიფოს ძალიერება, განამტკიცონ შშვიდობა მთელ მსოფლიოში.

მაგრამ ცალკეულ ადამიანთა შეგნებაში ჯერ კიდევ არ ალმოფხვრილა კაპიტალიზმის გადმონაშთები. ეს გადმონაშთები ვლინდება საზოგადოებრივი საკუთრებისადმი, შრომისადმი, საბჭოთა სახელმწიფოს კანონებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების ნორმების დაცვისადმი დაუდევარი დამოკიდებულებით.

ამას წინათ პარტიული და სამეურნეო აქტივის მონაწილეობით გაიმართა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა საკითხი, თუ როგორ სრულდება საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პლენუმის 1958 წლის 11 აპრილის დადგენილება „სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისა და ანტისაზოგადოებრივ ძოვლენათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“.

ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა **გ. ა. გეგეშიძემ.**

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებები,— ამბობს ამხ. გეგეშიძე,—შვიდწლიანის დავალებათა გადაძდე განხორციელებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის ახალი ტიპური გახდა. ქალაქის მრეწველობამ ბნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა შვიდწლიანი გეგმა. გასული წლის პროდუქციის ღონე გადაჭარბებულია 11 პროცენტით და მეტად. ბევრი რამ გაკეთდა ძირითადი მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისთვისაც. მაგალითად, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ქალაქში საეკსპლოატაციოდ გადაცემულია 46,5 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი ნაცვლად წარსულ შესაბამის პერიოდში გადაცემული 29 ათასი კვადრატული მეტრისა.

ქალაქის პარტიულმა ორგანიზაციებმა მრეწველობის, ტრანსპორტის, საქალაქო მეურნეობის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების, მეცნიერებისა და კულტურის შემდგომ განვითარებასთან ერთად ფარკვეული წარმატებები მოიპოვეს სოციალისტური კანონიერების განმტკიცებაში, სახელმწიფოებრივი და პარტიული დისციპლინის ამაღლებაში, საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფაში. ამ საქმეს დიდად შეუწყო ხელი პარტიისა და თანამრომის დადგენილებებმა, რომელთა მიზანია მოქალაქეების უფლებათა და ინტერესების დაცვა, მშრომელთა ფართო მასების ჩაბმა ანტისაზოგადოებრივი მოვლენებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების ნორმების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამ უკანასკნელ ხანს, განსაკუთრებით თანამედროვე პირობებში პარტიული ორმაგანდლის ამოცანების შესახებ“, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შემდეგ, გაძლიერდა იდეოლოგიური და მასობრივ-აღმზრდელობითი მუშაობა ადამიანთა შეგნებაში წარსულის გადმონაშთების წინააღმდეგ საბრძოლველად. მიღებული გარკვეული გაუმჯობესება კადრების შერჩევასა და განაწილებაში. გაძართოდა მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომების უფლებები. საცხოვრებელი ფართობის აღიცხვისა და განაწილების ახალი წესი ხელს უწყობს იმას, რომ ბინით უზრუნველყოფთ ისინი, ვისაც იგი ყველაზე მეტად სჭირდება.

მაგრამ, აღნიშნავს მომხსენებელი, ქალაქში ჯერ კიდევ ყველაფერი რიგზე როდია სოციალისტური საკუთრების დაცვის, სახელმწიფო დისციპლინის დაცვის, საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის საქმეში. ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია იდეოლოგიურ და მასობრივ-აღმზრდელობით მუშაობას არ უკავშირებს საწარმო-დაწესებულებათა ყოველდღიურ ცხოვრებას. ამის შედეგად ეს მუშაობა საკმაოდ ქმედითი არ არის, ხელს არ უწყობს მშრომელთა სოციალისტური ეგზებულობის ამაღლებას.

პირველადი პარტიული ორგანიზაციები საკმაოდ ვერ ახორციელებენ კონტროლს ადმინისტრაციის საქმიანობისადმი, სუსტად იყენებენ პარტიული კონტროლის კომისიებს, ჯერ კიდევ ყველგან არ არის მიღწეული ხელმძღვანელი კადრების, და პირველ რიგში კომუნისტების მინდობილ სამუშაო უბანზე საქმის მდგომარეობისათვის პირადი პასუხისმგებლობის გრძნობის გაძლიერება. საკმარისი არ არის აღზრდელობითი ღონისძიებანი, რომლებიც ორიენტირდება ინმისთვის, რომ თავიდან ავიცილოთ ცალკეული პირების მიერ წარულის გადმონაშთების გამოვლინება, რომლებიც უცხოა სოციალისტური ყოფისათვის.

ამხ. გეგეშიძეს მოჰყავს ცალკეული საწარმოებში, დაწესებულებებში და მშენებლობებზე გაფლანგვა-დატაცების ა და სხვა ბოროტმოქმედთა ფაქტები. უკანასკნელ ხანს- ქალაქში რამდენადმე გაუმჯობესდა სამრეწველო და სასურსათო საქონლით ვაჭრობა, მაგრამ სავაჭრო ქსელში ჯერ კიდევ ხდება გაფლანგვა-დატაცება, „გვერდულა“ საქონლით ვაჭრობა, მომხმარებელთა ზომა-წონაში მოტყუება.

პარტიული ორგანიზაციები, ხაზგასმით აღნიშნა ამხსენებელმა, მოვალენი არიან ყოველდღე გამოიხმაურონ და სწორი პოლიტიკური შეფასება მისცენ გაფლანგვა-დატაცებს, სახელმწიფოს ინტერესებისათვის ზარალის მიყენების თვითეულ ფაქტს, გახადონ იგი საზოგადოებრივი განხილვის საგანი. კომკრეტულ დამნაშავეთა და ბოროტმოქმედთა დასჯასთან ერთად სანქციათა ძალური პასუხი მოეთხოვოთ იმ ხელმძღვანელებსაც, რომლებმაც თავიანთი დოყლაპიობით ხელი შეუწყეს გაფლანგვა-დატაცებას.

სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებებთან ერთად პარტია და მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ კოლექტიურ და სამეიანო-კოოპერაციულ, აგრეთვე ინდივიდუალურ მშენებლობას, რაც მოსახლეობის დასაზოგებითა და სახელმწიფო კრედიტით ხორციელდება. ამ მხრივ ბევრი რამ განხორციელდა ჩვენს ქალაქშიც.

უკანასკნელ ხანებში თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი უფროო მოფიქრეულად და დაკვირვებით უდგება ინდივიდუალური სახლთა მშენებლობის საქმეს, წესრიგი დაამყარა საპოლეტო-სამარხთაღრიცხვო დოკუმენტაციის ანგარიშში, განახორციელა ღონისძიებანი თვითნებური მშენებლობის აღმოსაფხვრელად.

სამეიანო-სამშენებლო კოოპერატივების წევრები და ინდივიდუალური მშენებლები, როგორც წესი, ანტიოსანი საბჭოთა ადამიანები — ყარმეიის მუშაკები, მოსამსახურეები, ინტელიგენციის ყარმამადგენლები არიან. ძაგრად ზოგან მათს რიგებში შეჭრენენ ზოგიერთი საქმისნები და მაქინატორებიც, რომლებმაც, სარგებლობენ რა საქალაქო საბჭოს, ორკომიტეტის რაიონული სახლთა აღმასკომებისა და ზოგიერთი სხვა რაიონული საბჭოების აღმასკომების ძირივ უკოსტროლოლობით, ინდივიდუალური სახლთა ძირენლობა პიოადი გაორრჩენის წყაროდ გადააქციეს. კოოპერაციული და კოლექტიური მშენებლობის ორგანიზაციაში არსებულ სეიიოზულ ნაკლოვანებათა საკითხი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განხილვის საგანი გახდა. ცენტრალურმა კომიტეტმა ქალაქის პარტიულ და საბჭოთა ოოგანიზაციებს მოსთხოვა ქმედითი ღონისძიებანი მიიღოს ამ საქმეში მკაცრი სახელმწიფო წესრიგის დასამყარებლად.

მოხსენებაში დიდი ყურადღება დაეთმო საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლას. ძიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ ხანს ძდგომარეობა ამ მხრივ ოამდენადმე გაუმჯობესდა, ქალაქში ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა სინსლის სამართლის დანაშაულობანი, ხულიგნობა. ფაქტები ბოწმობენ, რომ მათ უძთავრესად სხადიან გაურკვეველი საქიანობის ადამიანები, როძლებიც არ ეწევიან საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას, მოხეტიალე ელემენტები, რომლებიც ხშირად გაწერილიც არ არიან ქალაქში.

ამხ. გეგეშიძე აღნიშნავს ნებაყოფლობითი სანალხო რაზმეულებისა და ანხანაგური სასამართლოების საყოფიერ საქმიანობას, ქალაქის საწარმოებსა და ორგანიზაციებში ფექმნილია საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი სახალხო რაზმეულები, რომლებიც გაერთიანებული არიან საწარმოთა მოწინავე ადამიანები, მუშაობენ აგრეთვე ანხანაგური სასამართლოები. კანონიერების პირველად დამრღვევ პირთა ახლებურად აღზრდისა და გამოსწორების საქმეში საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა კოლექტივების აქტიური მონაწილეობის ერთ-ერთი ფორმაა ის, რომ მათ თავდებად დაუდგენენ მშრომელთა კოლექტივები. თავდებობით წაყვანილ პირთა დიდი უმრავლესობა კოლექტივების დახმარებით ამართლებს გაწეულ ხდობას.

ამასთანავე უკანასკნელ ხანს პარტიული და საბჭოთა, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოების გარკვეული თვითდამშიდების შედეგად ქალაქში გაუზირდა ხულიგნობისა და სხვა ამორალური მოვლენების შემთხვევები.

ამხ. გეგეშიძემ გააკრიტიკა ნაკლოვანებანი მილიციის, სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოების მუშაობაში. მიუხედავად მუშაობის რამდენადმე გაუმჯობესებისა, ისინი ჯერ კიდევ ვერ აწარმოებენ ქმედით ბრძოლას სოციალისტური საკუთრების დამტაცებელთა, სპეკულანტთა, საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ; სათანადოდ არ იცავენ მოქალაქეთა უფლებებსა და ინტერესებს. ზოგჯერ შემარიგებელურად ეკიდებიან უკანონობას. მილიციის, სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოების ზოგიერთმა წარმატება არასწორად გაიგო სკკპ ცენტრალური კომიტეტის მითითებანი სოციალისტური კანონიერების დაცვაში საზოგადოებრიობის როლის გაძლიერების შესახებ და უსაფუძვლოდ ცვლიან სისხლის სამართლის სანქციებს გამოუსწორებელ დანაშავეთა მიმართ საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებებით.

ამავე დროს პარტიის საქალაქო კომიტეტი და რაიკომები, კომკავშირული ორგანიზაციები, პროფკავშირები ჯერ კიდევ ვერ უწევენ სათანადო დახმარებას მილიციის ორგანოებს. სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დამრღვევთა მნიშვნელოვან ნაწილს ახალგაზრდები შეადგენენ. კომკავშირული ორგანიზაციები უნდა გახდნენ ყველა იმ წამოწყების ინიციატორები, რომელთა მიზანია ახალგაზრდობის გონიერული დასვენების მოწყობა, ყველა ქალაქშვილისა და ჭაბუკის ჩაბმა მუშაობაში თავისი მშობლიური ქალაქის კეთილმოსაწყობად.

მომხსენებელი ამბობს, რომ საჭიროა კიდევ უფრო განვამტკიცოთ იდეოლოგიური მუშაობის კავშირი ცხოვრებასთან, გავაფართოოთ პარტიული პროპაგანდისა და აგიტაციის მასებზე ზემოქმედების სფერო. პარტიული ორგანიზაციები ყოველდღიურად უნდა ზრდიდნენ მშრომელთა ყველა ფენას შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების, კოლექტივიზმისა და შრომისმოყვარეობის სულისკვეთებით, კომუნისტური მორალის სულისკვეთებით, ბურჟუაზიული იდეოლოგიის გამოვლინებისა და კაპიტალიზმის გადმონაშთებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით.

დასასრულ ამხ. გეგეშიძემ გამოთქვა რწმენა, რომ თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაცია, რომელსაც სახელოვანი რევოლუციური ტრადიციები აქვს, შეძლებს უზრუნველყოს შვიდწლედის ყველა დავალების წარმატებით შესრულება, მიაღწევს იმას, რომ თბილისი გადაიქცეს სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის ქალაქად, ღირსეულად შეხვდება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და კომუნისტური პარტიის შექმნის სახელოვან 40 წლისთავს.

მოხსენების გამო გაიმართა კამათი.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის პირველმა მდივანმა **გ. ნ. გოშაძემ** დაახასიათა წარმატებანი რაიონის მრეწველობის მშრომელებისა, რომლებმაც შვიდი თვის გეგმა 104,7 პროცენტით შეასრულეს და გამოუშვეს 44 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. ამასთან იგი შეეხო რაიონის საწარმოებში უყაირათობისა და ბოროტმოქმედების, სიფხიზლის შესუსტებისა და დოყლაპიობის მთელ რიგ ფაქტებს, რასაც მოჰყვა სოციალისტური საკუთრების დატაცება. ორატორი ამბობს, რომ ხელმძღვანელი საქალაქო ორგანიზაციები და ცალკეული სამეურნეო ხელმძღვანელები კადრების შერჩევის დროს ყოველთვის როდი იღებენ ყურად ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ხმას.

ტრიბუნაზეა კამეოლ-მაუდის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორი **ე. ზ. თავაძე.** იგი შეეხო სოციალისტური კანონიერების დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოებრიობის როლის ამაღლების საკითხს. კამეოლ-მაუდის კომბინატში მუშების სიფხიზლის გამახვილების შედეგად მხილებულ იქნენ სახელმწიფო ქონების მთელი რიგი დამტაცებელნი. მაგრამ მილიციისა და სასამართლოს ორგანრები სათანადო ოპერატიულობასა და სიმტკიცეს ვერ ჩინენენ გამომძიებლებულ დანაშაულთა გამოძიებაში, დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემასა და დასჯაში.

— სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ქსელის მუშაკთა დიდი უმრავლესობა, თქვა საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრმა **მ. ბ. ღვინჭილიამ,** ბევრ შრომას ახმარს სავაჭრო მუშაობის გაუმჯობესების საქმეს. მაგრამ ვაჭრობის მუშაკთა კადრების შემადგენლობაში ჯერ კიდევ იპარება ზოგიერთი ვიგინდარა, ყალთაბანდი და სპეკულანტი. ეს არაკეთილსინდისიერი ელემენტები არღვევენ ვაჭრობის წესებს და ატყუებენ მომხმარებლებს, ჰყიდიან უფიქტიური საქონელს, ფარულად ჰყიდიან გადამალულ სამრეწველო საქონელს, რომელზეც მოსახლეობაში განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილებაა. ორატორი აღნიშნავს, თუ რა ღონისძიებებს ახორციელებს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო სავაჭრო ქსელში წესრიგის დასამყარებლად და მომხმარებელთა მოსახურების გასაუმჯობესებლად.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის რაიკომის პირველმა მდივანმა **ა. გ. ბუდუშიანმა** დაახასიათა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სახალხო რაზმების საქმიანობა, შეეხო იმას, თუ რა დიდი როლი ეკუთვნის მშრომელთა აღზრდის საქმეში ამხანაგურ სასამართლოებს. ამას წინათ პარტიის რაიკომმა მოაწყო სემინარი რაზმების, ხელმძღვანელებისა და ამხანაგური სასამართლოების თავმჯდომარეებისათვის, რომელზეც მოხსენება გააკეთა რესპუბლიკის პროკურორმა ამხ. **თოფურიძემ.** მაგრამ რაიონში კიდევ მნიშვნელოვანი რაოდენობით ვხვდებით სისხლის სამართლის დანაშაულობას. ორატორი ლაპარაკობს იმაზე, რომ საჭიროა გაჩაღდეს ბრძოლა წარსულის ისეთი დამამცირებელი გადმონაშთის წინააღმდეგ, როგორიც არის ფულის ხუქება მომსახურებისათვის.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის მილიციის სამმართველოს უფროსი **ა. პ. ჟრიელაშვილი** აღნიშნავს, რომ ზოგიერთი წარმატება, რომლებიც ქალაქის საზოგადოებრიობა წესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლაში მოვიპოვეთ 1959 წელს, მიმდინარე წელს ვერ შეინარჩუნეთ. მილიციის, სასამართლოს და პროკურატურის ორგანოების მხრივ მომთხოვნებლობისა და კონტროლის მესუტტების შედეგად კვლავ გამრავლდა ხულიგნობის, დანის ტრიალის და სხვა დანაძაულის, აგრეთვე ძოკალაქეთა უფლებების დარღვევის ფაქტების რიცხვი. დანაშაულობის უმრავლესობა ჩადენილია სიმთვრალის დროს. საჭიროა გაძლიერდეს ბრძოლა ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ. კომკავშრული და კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციები მოწოდებული არიან გაუფმჯობესონ აღმზრდელობითი მუშაობა. საჭიროა ავამაღლოთ მილიციის თანამშრომელთა კულტურა, მოვაწყოთ მუშაობა დანაშაულობის პროფილაქტიკისა და თავიდან აცილებისათვის.

უკანასკნელ ხანს, — ამბობს ლენინის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ვ. ს. ჯანჯღავა,** — ლენინის რაიონის საზოგადოებრიობა უფრო აქტიურად მონაწილეობს სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლაში. ასეთი დარღვევის ყოველი ფაქტი პარტიული, საბჭოთა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების გახსილვის საგანი ხდება. აუტიური საქმიანობა გაანალიზეს ვეჩის კომიტეტებმა. მოსკოვის სვერდლოვის რაიონის ძაგალითისამებრ, რაიონის მოსახლეობისათვის ეწყობა სპეციალური სალექციო დღე. მარტო ორ უკანასკნელ თვეში წაკითხულია 107 ლექცია და მოხსენება ძშრომელთა საცხოვრებელ ადგილებში. მიუხედავად ამისა რაიონში კიდევ არის სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დარღვევის ფაქტები, ან რაიონში ცხოვრობენ იაკეი პიოები, რომლებიც ჩაბმული არ არიან საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის კალინინის რაიკომის მეორე ძდივანმა **ე. ა. სალუქვაძემ** ილაპარაკა იმაზე, რომ მოხსენებაში აღნიშნული ხაკლოვანებანი გამოწვეულია კადრების შერჩევისა და განაწილების საქმეში დაშვებული შეცდომებით, კადრებთან სუსტი ეუშაობით. ძილიციის, სასამართლო და პროკურატურის ზოგიერთი ორგანოს პარტიული ორგანიზაციები საკმაო ინიციატივას ვერ იჩენენ მუშაობაში, არ განიხილავენ თავიანთ დაუსებულებათა საქმიანობის კონკრეტულ საკითხებს, არ აყენებენ ამ საკითხებს ზემდგომი პარტიული ორგანოების წინაშე. ცალკეული ხელმძღვანელი მუშაკები კანონებისა და წესრიგის დამრღვევთა სასტიკი დაგმობის ნაცვლად მათს მუამდგომლებად გამოდიან,

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ა. ე. მელაძე** დაწვრილებით ახალიზს უკეთებს იხდევიდულური, საადგრაკო და კოოპერაციული მშენებლობის საქმის ვითარებას, ამბობს, თუ რა სერიოზული ბეცდომები დაუშვა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ამ საქმის ხელძღვანელობაში. კოოპერატივების წევრად ხშირად იღებდნენ ისეთ პირებს, ომლებსაც საკმაო საცხოვრებელი ფართობი აქვთ ანდა რომელნიც არც კი ცხოვრობენ თბილისში და საკუთარი სახლების მშენებლობა და გაყიდვა გაუხდათ ძუდმივ საქმიანობად, პირადი გამდიდრებისა და სპეკულანტური კომბინაციების წყაროდ. სახლების ხარჯის დროს კოოპერატივები უხეშად არღვევდნენ ფინანსურ დისციპლინას, მოწყობილობისა და საშენი მასალების შეძენის დადგენილ წესს. მშენებლობის პროცესში მყოფ ზოგიერთ სახლში აღმოჩნდა პროექტების დარღვევა.

საქართველოს ალკ თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა **გ. ა. ანდროხიკაშვილმა** თავისი სიტყვა მიუძღვნა ახალგაზრდობაში აღზრდელობითი ძუშაობის საკითხებს. კრიტიკა, — თქვა ძან,— რომელიც ამხ. გეგეშიძის მოხსენებაში შეეხო კომკავშიოის საქმიანობას ქალაქში საზოგადოებრივი წესრიგის გახმტკიცებისათვის ბრძოლაში, სავსებით სწორია. მართალია, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სახალხო რაზმეულების შეძდგენლობაში 60 პროცენტძდე კომკავშირელი და ახალგაზრდაა, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის საკმარისი კომკავშირის ორგანიზაციათა ამ დიდმნიშვნელოვან საზოგადოებრივ ბრძოლაში. იგი ამბობს, რომ დიდაკმაყოფილებლად არ არის მოწყობილი ახალგაზრდობის გონიერული დასვენება, რომ ცუდად მუშაობენ ძთელი რიგი კლუბები, რომელთა საქმიანობა კინოფიდმების ჩვენებით ამოიწურება.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელო ქარხნის ხარატმა **პ. ზ. ტენიშვილმა,** საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ **ს. ი. ქაჯაიამ,** საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ოქტომბრის რაიკომის მდივანმა **შ. ა. დოლიძემ.**

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ამხ. **პ. ვ. კოვანოვმა.**

განხილული საკითხის გამო პლენუმმა მიიღო ვრცელი გადაწყვეტილება.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა **გ. ს. ძოწენიძემ, გ. ნ. ჯიბლაძემ, ფ. დ. დუმბაძემ, მ. მ. ლელაშვილმა, ი. გ. რთველიაშვილმა.** (საქდესი).

„ეს ნამდვილად განსაცვიფრებელია“

საბჭოთა კავშირის ახალმა შესანიშნავმა მიღწევამ კოსმოსიდან ცოცხალ არსებათა დედამიწაზე მშვიდობიანად დაბრუნებამ საზღვარგარეთ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა.

დედამიწაზე საბჭოთა კოსმოსური ხომალდის წარმატებით დაბრუნებას შანხაელმა მეცნიერებმა ადამიანის მიერ კოსმოსის დაპყრობაში ერთ-ერთი ბრწყინვალე გამარჯვება უწოდეს. **ჩინეთის** მეცნიერებათა აკადემიის შანხაის ფილიალის პრეზიდენტის მოადგილემ და ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა ფინ დე-პეიმ განაცხადა, რომ საბჭოთა კოსმოსური ხომალდის წარმატებით გაშვებას უდიდესი მეცნიერული მნიშვნელობა ენიჭება. კოსმოსში ცხოველების ქცევისათვის დაკვირვება ახალ ფურცელს ჩასწერს ფიზიოლოგიაში. ფიზიოლოგმა ჩან სიან-ტუნმა აღნიშნა, რომ საბჭოთა მეცნიერებმა გადაჭრეს ძნელი ფიზიოლოგიური პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია კოსმოსში ცოცხალ არსებათა გაშვებასთან და დედამიწაზე მათ დაბრუნებასთან. ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიის ბიოქიმიის ინსტიტუტის დირექტორმა ვან იუნ-ლაიმ თქვა, რომ საბჭოთა კოსმოსურმა ხომალდმა ერთხელ კიდევ ცხადყო საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ძალი დონე.

„ადამიანებს ყველგან საჭიროდ მიაჩნიათ, მილოცვა გაგზავნონ იმასთან დაკავშირებით, რომ მეცნიერული პრინციპები ახლა შეიძლება კარგად იქნეს გამოყენებული ადამიანის მიერ კოსმოსის გამოკვლევის დარგში შთამაგონებელი გამარჯვების მისაღწევად, — განუცხადა საკდესის კორესპონდენტს **ამერიკის** მეცნიერების განვითარების ხელისშემწყობი ასოციაციის პრეზიდენტმა ჩონსი დ. ლიმმა იმ თხოვნის პასუხად, რომ გამოეთქვა თავისი აზრი მეორე საბჭოთა კოსმოსური ხომალდის დედამიწაზე წარმატებით დაშვების შესახებ. — „კაცობრიობისათვის ამ ახალ თაოსნობაში ყველა ადამიანს შეუძლია თანამშრომლობა, და უნდა მოველოდეთ, რომ ყველა მთავანი საბოლოო ანგარიშით მოიგებს ამის შედეგად. ყველა ჩვენგანის თანამშრომლობა სასარგებლო იქნება“.

ვაშინგტონის პრესა კვლავ გაცხოველებით უკეთებს კომენტარებს საბჭოთა კოსმოსის დამპყრობთა ახალ ბრწყინვალე გამარჯვებას. აღარებს რა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების უკანასკნელ მიღწევებს ამ დარგში, გაზეთი „ვაშინგტონ პოსტ ენდ ტაიმს ჰერალდი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „საბჭოთა კავშირმა განახორციელა შესანიშნავი გმირობა იმით, რომ დედამიწის გარშემო 20 საათის ფრენის შემდეგ დედამიწაზე მშვიდობიანად დაუშვა კოსმოსური ხომალდი, რომელშიც იყვნენ ცხოველები“, ეს „მოწმობს იმას, რომ საბჭოთა კავშირს კვლავინდებურად პირველობა უკავია კოსმოსის გამოკვლევაში“.

საბჭოთა მეცნიერების შესანიშნავი გმირობის საყოველთაო აღიარების ფონზე რაღაც საოცრად მოჩანს ოფიციალური ვაშინგტონის ის საცოდავი ბაგეტვა, რომ დაამციროს საბჭოთა მეცნიერების მიღწევა. მაგალითად, აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნულ-ი სამმართველოს დირექტორი ჯ. გლენანი მთელი მსოფლიოსათვის თვალსაჩინო ფაქტების საწინააღმდეგოდ, იქადაც კი მივიდა, რომ ამტკიცებდა — თითქოს „ამერიკული თანამგზავრების ნამდვილი მეცნიერული მიღწევები აღემატება რუსეთის მიღწევებს“. აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის სამმართველოს, როგორც ეს მთელი მსოფლიოს წინაშე მხილებულ იქნა პაუერსის ბრალეულის დროს, ამერიკის დაზვერვა იყენებს იმისათვის, რომ დაფაროს ჯაშუშური საქმიანობა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ცხადია, ამჯერადაც გლენანის მტკიცებებს კოსმოსში ამერიკის მიღწევათა აორსებული უპირატესობის შესახებ დათმობი აქვს „დასაცავი განცხადების“ როლი, რომელიც ითვალისწინებს იმას, რომ დაუმალონ ამერიკისა და მსოფლიო საზოგადოებრიობას ამერიკის კოსმოსური პროგრამის ნამდვილი მნიშვნელობა. თუ რაოდენ შორსაა ეს პროგრამა მეცნიერული მიზნებისაგან, დასტურდება თუნდაც ვაშინგტონის გაზეთ „სტარის“ მეცნიერი მიმმხილველის უ. ჰაინსის სიტყვით: „რვიდან ექვსი ობიექტი, რომლებიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მიმდინარე წელს ორბიტაზე გაიყვანეს, უმთავრესად სამხედრო მიზნებს ემსახურება“.

ინგლისელთა გონება მოცულია იმ პერსპექტივით, რომელიც დედამიწიდან კოსმოსში ადამიანის პირველ გაფრენას ესახება. როგორც საკდესის კორესპონდენტს ინგლისის საპლანეტათშორისო კავშირურთიერთობის საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტმა კენეტ გეტლენდმა განუცხადა, „ცოცხალი არსებებით კაფსულის დაბრუნებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ასტრონავტიკისათვის“. ინგლისის საპლანეტათშორისო კავშირურთიერთობის საზოგადოება, თქვა მან, „მხურვალედ მიესალმება ყველა საბჭოთა მეცნიერსა და ინჟინერს, რომლებმაც შესაძლებელი გახადეს ეს მიღწევა. ახლა ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ შემდგომ განვითარდება ეს პროგრამა — ორბიტაზე გაყვანილ იქნება კოსმოსური ხომალდი ადამიანით და იგი უკან დაბრუნდება“. სამეფო საზოგადოების (ინგლისის მეცნიერებათა აკადემია. — **რედ.**) პრეზიდენტი სერი სირილ ჰინშელვუდი ენთუზიაზმით გამოეხმაურა თავისი საბჭოთა კოლეგების მუშაობას. საკდესის კორესპონდენტთან საუბარში მან თქვა: „მე ალტაცებით წავიკითხე ჩვენი რუსი მეგობრების წარმატების ამბავი. როგორც სამეფო საზოგადოების პრეზიდენტი, მე განვაცხადე, რომ გულწრფელად ვულოცავთ მათ ამ მიღწევას“. დაახასიათა რა საბჭოთა კავშირის მიღწევა როგორც „განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი მოვლენა“, ჰინშელვუდმა თქვა, რომ ამან მნიშვნელოვნად მოაახლოვა კოსმოსური მოგზაურობა. ახლანდელ სტადიაში უდიდეს მეცნიერულ ინტერესს წარმოადგენს ტექნიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა თანამგზავრი ხომალდის დედამიწაზე დასაბრუნებლად. ერთ-ერთმა წამყვანმა ინგლისელმა დრამატურგმა ა. უესკერმა გაუცხადა საკდესის კორესპონდენტს: „შეიძლება მხოლოდ ის თქვას, რომ ეს ნამდვილად განსაცვიფრებელია“.

კანადის სამეცნიერო-საკვლევი საბჭოს აერონავტიკის განყოფილების დირექტორმა ფ. რ. ტერსტენმა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში თქვა: მე განცვიფრებული დავრჩი იმით, თუ რა სიზუსტით დაამშვა დედამიწაზე საბჭოთა კოსმოსური ხომალდი წინასწარ ნავარაუდევ ადგილზე. ეს მეცნიერულ-ტექნიკური აზრის შესანიშნავი მიღწევაა. მივესალმები საბჭოთა მეცნიერებს, ინჟინრებსა და ყველა მათგანს, ომლებიც მონაწილეობდნენ ამ შესანიშნავი გმირობის განხორციელებაში.

ურუგვაის გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ იმ უდიდეს მნიშვნელობას, რომელიც კოსმოსის ათვისებისათვის საბჭოთა კოსმოსურ ხომალდზე მყოფ ცხოველთა დედამიწაზე დაბრუნებას ენიჭება. გაზეთი „პოპულარი“ წერს: „ისტორიაში პირველად დედამიწაზე დაბრუნდნენ ცხოველები, რომელთაც კოსმოსში იმოგზაურეს. ეს უპრეცედენტო ფაქტი... კოსმოსში ადამიანის გაფრენის წინამორბედია. კაცობრიობა აღნიშნავს სოციალიზმის ქვეყნის ახალ მეცნიერულ გმირობას“.

საბჭოთა კავშირმა, წერს **იაპონური** გაზეთი „ტიუტუ ნიპონ სიმბუნი“, კიდევ ერთი ბრწყინვალე ფურცელი გადაშალა კოსმოსური ერის ისტორიაში. გადაიდგა პირველი დიდი ნაბიჯი საპლანეტათშორისო მოგზაურობის გზაზე. კოსმოსური ხომალდის გაშვებითა და დედამიწაზე მისი დაბრუნებით, აღნიშნავს მეორე იაპონური გაზეთი „ჰოკაიდო სიმბუნი“, საბჭოთა კავშირმა შორს ჩამოიტოვა შეერთებული შტატები. საბჭოთა კავშირის გრანდიოზული წარმატება შემთხვევითი როდია, შენიშნავს იაპონური გაზეთი „აკახატა“. ამ წარმატებაში საუკეთესოდ გამოვლინდა სოციალისტური სისტემის უპირატესობა კაპიტალისტურ სისტემაზე, გამოვლინდა კომუნიზმის იდეების სიდიადე. საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის გამარჯვება მოწმობს, რომ სწორედ სოციალისტური სისტემა უაღრესად საკვლევი ბაგეთაურებს დადამიწის ნიჭს, კაცობრიობის წინაშე სახავს ბრწყინვალე პერსპექტივებს. (საკდესი).

СОЦИАЛИЗМ
ДЕ

ჟენევის თათბირზე

ჟენევა, 22 აგვისტო. (საკდესი). დღეს ერების სასახლეში გაიმართა მორიგი სხდომა სამი სახელმწიფოს თათბირისა ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ. სხდომა მიმდინარეობდა ამერიკის დელეგატ პოპერის თავმჯდომარეობით.

ამ სხდომაზე გამოვიდა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი ს. კ. ცარაპკინი, რომელმაც განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის დელეგაციებმა შემოიტანეს წინადადება, რომ თათბირის მუშაობა შეწყდეს ამა წლის 27 სექტემბრამდე, ამ წინადადებასთან დაკავშირებით, თქვა ს. კ. ცარაპკინმა, მე დავალებული მაქვს გავაკეთო შემდეგი განცხადება: „იმწრაფვის რა უფრო სწრაფად მიაღწიოს შეთანხმებას, საბჭოთა მთავრობა ამჯობინებს არ გაკეთდეს რაიმე შესვენება თათბირის მუშაობაში, მაგრამ, გასაგებია, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ანგარიში არ გავუწიოთ დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიციას. რამდენადაც დიდი ბრიტანეთისა და შეერთებული შტატების დელეგაციები მოითხოვენ მოეწყოს შესვენება, ჩვენ არ ვიქნებით ამის წინააღმდეგი“..

შემდეგ ს. კ. ცარაპკინი შეეხო უახლოეს ამოცანებს, რომლებიც დასახულია სამი სახელმწიფოს თათბირის მონაწილეთა წინაშე: გადაიჭრას გარანტიების საკითხი ატომგულის იარაღის აფეთქებათა მიწისქვეშა გამოკვლევის შესახებ, რომლებსაც ამერიკის შეერთებული შტატები გეგმავენ, საკითხები მორატორიუმის ხანგრძლივობის, საკონტროლო კომისიის შემადგენლობის, ინსპექციის კვოტის შესახებ და მთელი რიგი სხვა საკითხები. რაც შეეხება კვლევის პროგრამას, თქვა საბჭოთა დელეგატმა, საბჭოთა კავშირის დელეგაციას საჭიროდ მიაჩნია ერთხელ კიდევ ხაზი გაუსვას, რომ სსრ კავშირი ნამდვილად ცნობს ექსპერტთა 1958 წლის თათბირის დასკვნებსა და რეკომენდაციებს, რომელთა საფუძველზე უკვე დიდი ხანია შეიძლებოდა დადებულიყო ხელშეკრულება.

ტელეგრაფი გვაცნობინებს

◆ **როგორც** იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტოს კორესპონდენტი ტუნისიდან გადმოგვცემს, მთავრობის წრეებში 23 აგვისტოს განაცხადეს, რომ ტუნისმა გადაწყვიტა კონგოში გაგზავნოს 600 ჯარისკაცი იმ სამი კონტინენტის ღამატებად, რომლებიც შეადგენენ 3.000 ტუნისელ ჯარისკაცს და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებულ ძალებში იმყოფებიან კონგოში.

◆ **როგორც** ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი აკრიდან გადმოგვცემს, განის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაცხადა, რომ განა დათანხმდა იყოს კონგოს რესპუბლიკის ცენტრალური მთავრობის ინტერესების წარმომადგენელი საზღვარგარეთ.

◆ **ბაილანდიდან** პაიფონის ნავსადგურში ჩამოვიდა კიდევ 1.011 ვიეტნამელი რეპატრიანტი.

რეპატრიანტთა ამ საოვალავით მე-15 ჯგუფთან ერთად ტაილანდიდან ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ამა წლის იანვრიდან დაბრუნებულ ვიეტნამელთა საერთო რიცხვი 9 ათასზე მეტს შეადგენს.

ეს დღეები კონგოში

პარიზი, 22 აგვისტო. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ლეოპოლდვილიდან იუწყება, კონგოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა პატრის ლუმუმბამ გუშინ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, „მე ვფიქრობ არა მარტო აფრიკის ქვეყნებზე, როცა ვამბობ, რომ კონგოს მთავრობა პირდაპირ სამხედრო დახმარებას სთხოვს ზოგიერთ სახელმწიფოს, თუ უშიშროების საბჭომ არ გაამართოს მისი მოლოდინი“.

პრემიერ-მინისტრმა დაადასტურა თავისი მოთხოვნა, რომ კონგოში გაიგზავნოს ნეიტრალური ქვეყნების წარმომადგენლები მეთვალყურეებად და განაცხადა, რომ სთხოვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მისცეს მის განკარგულებაში თვითმფრინავები კონგოს ჯარების გადასაყვანად ყველა იმ რაიონში, სადაც მათი ყოფნა საჭიროდ იქნება მიჩნეული.

აღნიშნა რა, რომ საფრანგეთის თვითმფრინავები ფარულად შეიჭრნენ კასაის პროვინციაში, რათა იძოქმედონ კალონჯისთან (მოღალატე, რომელიც ცდილობს გამოჰყოს ეს პროვინცია კონგოსგან, — **რედ. შენიშვნა**) შეთანხმებით, ლუმუმბამ თქვა: „საფრანგეთი ყოველდღე გვეხმის თავს პრესაში და გვეუქრება ჩვენი ეროვნული სუვერენიტეტის ხელყოფით“.

დასასრულ ლუმუმბამ განაცხადა, რომ კატანგის დრამის მიზეზი უნდა კეთდეთ ზოგიერთი სახელმწიფოს ცდებში კონგოს მიმართ.

პარიზი. 23 აგვისტო. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ლეოპოლდვილიდან იუწყება, კონგოს პრემიერ-მინისტრმა პატრის ლუმუმბამ 21 აგვისტოს საღამოს სიტყვა წარმოთქვა რადიოთი.

გამოსვლის პირველი ნაწილი პ. ლუმუმბამ მიუძღვნა კონგოს 80 წლის კოლონიურ წარსულს. პრემიერ-მინისტრმა დახატა დამცირების, შევიწროების, დაპატიმრებათა, ძალადობის სურათი, რასაც კონგოელები განიცდიდნენ ბელგიელი კოლონიზატორების რეჟიმის დროს.

მოუწოდა რა შემდეგ კონგოელ ხალხს განმატკიცოს ეროვნული რიგების ერთიანობა, პ. ლუმუმბამ თქვა: „კონგოს ხალხის წყალობით, ყველა ჩვენი ღონისძიებისა და თავისუფლების ყველა მეგობრის წყალობით ბელგიელი იმპერიალისტები მეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ისინი ავად არიან. ისინი უკვე სულთმობრძავი არიან“.

აგრესორთა ჯარების გასაყვანად

კაირო, 22 აგვისტო. (საკდესი). გუშინ საღამოს კაიროს საერთაშორისო აეროდრომიდან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თვითმფრინავებით კონგოში გაფრინდა ჯარისკაცთა და ოფიცერთა პირველი ჯგუფი არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის იმ სამხედრო ქვეგანაყოფიდან, რომელიც კონგოში გაგზავნება, — სულ 120 კაცი. უახლოეს ხანს, ნათქვამია პრესის ცნობებში, დამთავრდება ამ სამხედრო ქვეგანაყოფის დანარჩენ ჯარისკაცთა და ოფიცერთა გაგზავნა საჭირო აეროპორტთან, აღმოსავლეთისა და მედიკამენტებთან ერთად. პირველ ჯგუფში შევიდა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ქვეგანაყოფის მთელი სარდლობა.

პრესა იუწყება აგრეთვე, რომ „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სარდლობას ჯერ არ განუსაზღვრავს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ჯარის საპარაშუტო ქვეგანაყოფის უმუალო ამოცანები კონგოში“. მაგრამ გუშინ კონგოში გაგზავნის წინ გამოვიდა ქვეგანაყოფის მეთაური პოლკოვნიკი საად შაზლი და ჯარისკაცებს განუცხადა: „ჩვენი ამოცანა ის არის, რომ შევასრულოთ უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილება კონგოს ტერიტორიიდან აგრესორთა ჯარების გაყვანის შესახებ“.

ქენევის თათბირზე რა ხდებაა ლაოსში

ჯანოი, 22 აგვისტო. (საკდესი). სახელმწიფო გადატრიალების დროიდან, რასაც მოპყვა ფუი სანანიკონეს პროამერიკული მთავრობის დამხობა, ორი კვირა გავიდა, მაგრამ მდგომარეობა ლაოსში კვლავ დაძაბულია. საქმე ის არის, რომ შინაური და გარეშე რეაქცია ცდილობს რადაც უნდა დაუჯდეს დაიბრუნოს დაკარგული პოზიციები ამ ქვეყანაში, რომელსაც პენტაგონი აკუთვნებს პლაცდარმის როლს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების წინააღმდეგ პროვოკაციებისათვის.

სუვანა ფუმას მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც ხელისუფლების სათავეში დაყენა რევოლუციურმა კომიტეტმა, მზადდება შეთქმულება, რომლის მიზანია ხელი შეუშალოს ლაოსის გადაკვლას მშვიდობის, ნეიტრალიტეტისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გზაზე. თავდაცვის ყოფილი მინისტრი ფუმი ნოსავანი, რომელიც დაიმალა სეატოს წევრის — ტაილანდის საზღვარზე, თავს უყრის ჯარებს დედაქალაქზე ლაშქრობისათვის.

მეფე, რომლის დაკანონებით სუვანა ფუმამ შეადგინა ახალი კაბინეტი, მერყეობს და დღემდე ვერ დაუმტკიცებია მთავრობის შემადგენლობა, თუმცა ამ უკანასკნელს მხარი დაუჭირა ეროვნულმა კრებამ. იგი ზის თავის რეზიდენციაში ლუანპრაბანში და დუმს. ეროვნული კრების წარმომადგენელმა, რომელიც ვიენტიანიდან გაგზავნა, ვერ გადასცა მეფეს დასამტკიცებლად დოკუმენტები — იგი დაიპატიმრეს გზად რეზიდენციაში.

თამაში, რომელიც ლუან-პრაბანში წამოიწყეს, წარმოებს იმ ვარაუდით, რომ არარაობად აქციოს პრემიერ-მინისტრ სუვანა ფუმას ხელისუფლება. იგი მიამბოხეებს აძლევს შესაძლებლობას ამტკიცოს, რომ ახალი მთავრობა არ არის უფლებამოსილი, რადგან მას ჯერ კიდევ ფიცი არ დაუდია მეფის წინაშე, და რომ კვლავ ძალაში რჩება ფუი სანანიკონეს დამხობილი მთავრობა.

სურს რა თავიდან აიცილოს სისხლისღვრა, სუვანა ფუმა მოლაპარაკებას აწარმოებს მეამბოხეთა ლიდერებთან, რომელთა მთავარი ბინა მდებარეობს სამეფოს სამხრეთ-აღმოსავლეთით სავანა-კეტში. მაგრამ ეს უკანასკნელები აკანონებენ მოლაპარაკებას და, როგორც ჩანს, ცდილობენ მოიგონ დრო, რათა თავიანთ ნაწილებში ჩააბშონ ჯარისკაცთა მღელვარება და დაიგროვონ მეტი ძალები „გენერალური შეტევისათვის“.

ლონდონი, 22 აგვისტო. (საკდესი). ლაოსის ხელისუფლებამ დღეს ვიენტიანში გამოაცხადეს, რომ დაიკეტა საზღვარი ტაილანდთან მდინარე მეკონგზე. იუწყება რა ამის შესახებ, რეიტერის სააგენტო დასძენს, რომ მოლაპარაკებაში სუვანა ფუმასა და გენერალ ნოსავანს შორის არავითარი ძვრა არ მომხდარა.

ქვემო სვანეთში, სოფელ ჟახუნდერში ია გადაღებული ეს სურათი. ამ ცაცხვის წლოვანება არც ერთმა აქაურმა არ იცის.

— პაპაჩემისათვის თავის პაპას უთქვამს, ჩემს ბავშვობაშიც ასე იდგაო, — ამბობს სამოცდაათ წელს მიღწეული სტეფანე ონიანი.

ჟახუნდერელებს ირგვლივ ყორე შემოუვლიათ ძველთაძველი ცაცხვისათვის, რომელსაც უზარმაზარი ადგილი უჭირავს...

აგერ თოთხმეტიოდე ბავშვმა ჩასჭიდა ერთმანეთს ხელი, მაგრამ მაინც უჭირთ გარს შემოწვდენა.

ფოტო ს. ონანოვისა.

ყოველი მხრიდან

ლონდონი, 22 აგვისტო. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი დაკარდან იუწყება, სენეგალის ხელისუფლებმა გუშინ პატიმრობიდან გათავისუფლეს მალის ფედერაციის და სუდანის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი მოდიბო კეიტა და სუდანელი მინისტრები.

მომდინარე წლის იანვარში საფრანგეთის ყოფილი კოლონიების სენეგალისა და სუდანის გაერთიანების შედეგად შექმნილი მალის ფედერაციის პრემიერ-მინისტრი მ. კეიტა გახდა მსხვერპლი რეაქციულ სენეგალელ ელემენტთა შეთქმულებისა, რომლებიც ცნობილი არიან თავიანთი კავშირით კოლონიზატორებთან. მ. კეიტამ სცადა შეიარაღებული ძალების დამარცხებით აღიკვეთა აფრიკის ახალგაზრდა სახელმწიფოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მიმართული შეთქმულება, რომელიც მოეწყო 19 აგვისტოს ღამით, მაგრამ ფრანგმა ოფიცრებმა, რომელთა ხელში იყო არმიის სარდლობა, უარი თქვეს დამორჩილებოდნენ ფედერაციის მთავრობის განკარგულებებს და აშკარად დაუჭირეს მხარი შეთქმულებს, ხოლო ბრძოლა გამოაცხადეს მალის ფედერაციიდან სენეგალის გამოსვლისა და მისი დამოუკიდებლობის შესახებ.

რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, რომ მ. კეიტა და მისი თანმხლები პირები სპეციალური მატარებლით ბამაკოში წავიდნენ.

□ **მდგომარეობა მალის ფედერაციაში** □ **კვიპროსი უნდა გახდეს მშვიდობის რაიონი** □ **ფაქტები აბათილებენ კანადელი დიპლომატების მტკიცებას** □ **ტელერი მოითხოვს ატომგულის იარაღის გამოცდის განახლებას** □ **ამერიკის შეერთებული შტატების უშიშროების ეროვნული სამმართველოს თანამშრომელმა თავი მოიკლა.**

ნიკოზია, 23 აგვისტო. (**საკდესის სპეც. კორ.**). მთავარი ამოცანა, რომელიც ახლა დასახულია კვიპროსის რესპუბლიკის ხალხის წინაშე, არის ის, რომ ხელი შეუშალოს იმპერიალისტებს თავიანთ ატომურ ბაზად გადააქციონ კუნძული, განაცხადა აქ გამართულ პრეს-კონფერენციაზე კვიპროსის მშრომელთა პროგრესული პარტიის გენერალურმა მდივანმა პაპაიოანუმ. კვიპროსის გამოყენება სამხედრო ბაზად, თქვა მან, მოსპობს საფრთხეს უქმნის მის ხალხს. კვიპროსს შეუძლია დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულოს მშვიდობის შენარჩუნების საქმეში, თუ იგი გახდა რაიონი მშვიდობიანი და სხვა სახელმწიფოებთან მშვიდობიანი თანაარსებობისა, რაც არა მარტო შესაძლებელია, არამედ აუცილებელიც.

შემდეგ პაპაიოანუმ აღნიშნა, რომ კვიპროსის მშრომელთა პროგრესული პარტია ყოველ ღონეს იხმარს ხალხის გასაერთიანებლად ამ ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლაში.

ოტავა, 23 აგვისტო. (საკდესი). „მარილივა სუფთა კანადა კოლონიზატორთა ცოდვებისაგან, როგორც ამას ამტკიცებენ კანადელი დიპლომატები, როცა მოითხოვენ კანადის ჯარისკაცთა გაგზავნას კონგოში?“ — ასეთ კითხვას იძლევა 20 აგვისტოს სარედაქციო სტატიაში კანადის გაზეთი „უწყება“. გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ფაქტები აბათილებენ ამ მტკიცებას.

კოლოსალურ შემოსავალს, წერს გაზეთი, რომელსაც „ეუნიონ მინერიერ“ იღებს კატანგის ბუნებრივ სიმდიდრეთა ექსპლოატაციით, ბელგიის ბანკი „სოსიეტე ენერალ დე ბელჟიკი“ კაპიტალდაბანდებებად გაგზავნის სხვა ქვეყნებში, მათ შორის კანადაში. ბანკი „სოსიეტე ჟენერალი“, აღნიშნავს გაზეთი, კონგოს ექსპლოატაციით მიღებულ კაპიტალებს აბანდებს ფოლადსამსხმელი ქარხნის მშენებლობაში მონრეალის ახლოს და ნიუ-ბრანსუიკის პროვინციის მაღაროებში.

ამრიგად, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, ბელგიელ და ამერიკელ მონოპოლიებთან კავშირის შედეგად, რომლებიც კონტროლს უწევენ კონგოს, პირველ რიგში კატანგის სიმდიდრეთა ექსპლოატაციას, კანადელი ფინანსისტები უშუალოდ დაინტერესებული არიან კოლონიური წესების შენარჩუნებით კონგოში, განსაკუთრებით კატანგაში. მამდილის, რომ კონგოში კანადელი ჯარისკაცების გაგზავნა, წერს გაზეთი, იმით რიდია ნაკარნახევი რომ კანადა „ერთგულია“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წინაშე ნაკისრი ვალდებულებებისა.

ვაშინგტონი, 22 აგვისტო. (საკდესი). ედვარდ ტელერი, ერთ-ერთ ცნობილ ამერიკის პრესა უწოდებს „ამერიკელი წყალბადის ბომბის მამას“, კვლავ გამოვიდა აშკარა მოწოდებით, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში განახლდეს ატომგულის იარაღის გამოცდა. ინტერვიუში ტელევიზიით მან მოითხოვა „ატომგულის იარაღის გამოცდის განახლება მიწისქვეშ, აგრეთვე, შესაძლოა, ხალანტათშორისო სივრცეშიც“. დაასაბუთა რა ეს მოთხოვნა, მან განაცხადა, რომ შეერთებული შტატების ღონისძიებანი ატომური შეიარაღების დარგში იქნება „გაცილებით უფრო იაფი, უფრო სწრაფი და უფრო ეფექტიანი, თუ გაგრძელდა ატომგულის იარაღის გამოცდა“.

ნიუ-იორკი, 21 აგვისტო. (საკდესი). იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტო იუწყება, რომ თავი მოიკლა ამერიკელმა ოფიცერმა 23 წლის ინტმა, რომელიც საიდუმლო სამუშაოზე მუშაობდა უშიშროების ეროვნულ სამმართველოში.

პოლიციის ხელისუფალთა განცხადებით, თანამდებობის პირებმა გამოარკვიეს გარემოებანი, რომლებითაც შეიძლება ახსნან თვითმკვლელობა, მაგრამ მათ „არ შეუძლიათ აცნობონ რაიმე ამ გარემოებათა შესახებ, ამ ოფიცრის მუშაობის ხასიათის გამო“.

როგორც სკოენმა განაცხადა, ინტმა თავი მოიკლა იმით, რომ ავტომობილანში შიგ მოსახა ბენზინი, ქვეშ დაიდგა თუნუქის ქილა ორი ალონი ბენზინით და გაპკრა ასანთი.

კუბის რევოლუციის მხარდასაჭერად

ნიუ-იორკი, 23 აგვისტო. (საკდესი). როგორც პრესა ლატინას სააგენტო იუწყება, ლათინური ამერიკის სხვადასხვა ქვეყანაში გრძელდება გამრსვლები კუბის რევოლუციის მხარდასაჭერად.

სან-ხოსედან (კოსტა-რიკა) მიღებულ ცნობაში აღნიშნულია, რომ კოლუმბიის მშრეტელ მუშათა ფედერაციამ, რომელიც აერთიანებს 10 ათასზე მეტ კაცს, ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის სახელზე გაგზავნა განცხადება კუბელი ხალხისადმი სოლიდარობისა. განცხადებაში ნათქვამია, რომ ფედერაცია „სრულ სოლიდარობას უცხადებს მამაც კუბელ ხალხს და მხარს უჭერს მის ბრძოლას ეკონომიური, სოციალური და პოლიტიკური განთავისუფლებისათვის“.

ლიმიდან (პერუ) მიღებულ ცნობაში აღნიშნულია, რომ პერუს სამთამადნო მრეწველობის მშრომელთა ფედერაციის გენერალურმა მდივანმა რომეული მენესესმა სიტყვა წარმოთქვა მიტინგზე და ფედერაციის ყველა წევრის სახელით გადაჭრით დაუჭირა მხარი კუბას.

კუბისადმი სოლიდარობას გამოთქვამენ პერუს ბანკის მოსამსახურეთა ფედერაცია, ურუგვაისა და ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნების მშრომელები.

ნერუს განცხადება ინდოეთის პარლამენტში

დელი, 22 აგვისტო. (საკდესი). დღეს ინდოეთის პარლამენტის სახალხო პალატაში დაიწყო ინდოეთის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმის პროექტის განხილვა.

პრემიერ-მინისტრმა ნერუმ გახსნა კამათი და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მარტო მძიმე მრეწველობის შექმნას ინდოეთში შეუძლია საფუძველი ჩაუყაროს ინდოეთის მომავალ პროგრესს.

აღნიშნა რა შემდეგ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის განვითარებას, ნერუმ ხაზი გაუსვა იმას, რომ ამ დარგში საჭიროა კოოპერირება. კოოპერირება, თქვა მან, ინდოეთის სოფლის მეურნეობის განვითარების ერთადერთი გზაა, და სხვა გზა არ არის. ამასთან ერთად ნერუმ თქვა, რომ ინდოეთის სოფლის მეურნეობაში კოოპერირების იდეა ინდოეთის გარკვეული წრეების წინააღმდეგობას აწყდება. პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა ინდოეთის გეგმიანი განვითარების დიდი მნიშვნელობა, რომელიც მოითხოვს ინდოელი ხალხის შეუპოვარ შრომას.

ნერუმ მადლობა გადაუხადა უცხო სახელმწიფოებს, მათ შორის საბჭოთა კავშირს, ინდოეთისათვის გაწეული დახმარების გამო.

◆ **პირველი** ოლიმპიადა ათენში მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში (1896 წ.) მოეწყო. მაშინ ამ შეჯიბრებაში მხოლოდ ვაკეები გამოდიოდნენ, მათი რიცხვი 13 ქვეყნის 265 კაცით განისაზღვრებოდა. მას შემდეგ ოლიმპიურმა ასპარეზობამ ფრთები შეისხა, იგი მსოფლიოს ყოველ კუთხეში შეიჭრა. ახლა მარტო ერთ ქვეყანას — სსრ კავშირს XVI! ოლიმპიადაზე გაცილებით მეტი სპორტსმენი (307 კაცი) გამოჰყავს, ვიდრე მთლიანად პირველ ოლიმპიადაზე მონაწილეობდა.

ოლიმპიური ქრონიკა

◆ **საბჭოთა** ოლიმპიელებს რომის მკვიდრნი, სპორტსმენები, ტურისტები კარგად იცნობენ არა მარტო სპორტული ჩაჭვენებლებით, არამედ ფორმითაც. ჩვენს ოლიმპიელებს მეტწილად აცვიათ ცისფერი კოსტიუმები მკერდის მარცხენა ნახევრს სსრ კავშირის სახელმწიფო გერბით. ჰალსტუკებზე მკვეთრად მოჩანს ხუთი გადაკვეთილი რგოლი, რაც სიმბოლურად ხუთი მატერიკის სპორტსმენთა ერთიანობას გამოხატავს.

◆ **რომის** ოლიმპიადაზე საბჭოთა სპორტსმენების ორ მესამედზე მეტი შეადგენენ ახალგაზრდები, რომლებიც პირველ-ად გამოდიან ასეთ გრანდიოზულ ასპარეზობაში. საბჭოთა სპორტული ლეგიონის რიგებში ჰელსინკის 20 და მელბურნის ოლიმპიური შეჯიბრების 62 მონაწილეა. ესენი არიან მსოფლიო ოლიმპიური ჩემპიონები, პრიზიორები.

◆ **მელბურნის** XVI ოლიმპიურ შეჯიბრებში საქართველოდან 10 სპორტსმენი გამოდიოდა. მათ შორის სამშობლოში მ მედალისანი დაბრუნდა. XVII ოლიმპიადაზე ჩვენი რესპუბლიკიდან გამოვა 16 სპორტსმენი — მოჭიდავე, კალათბურთელი, მძლეოსანი, მცურავი, წყალბურთელი, მოფარიკავე, მათ შორის უმრავლესობას ახალგაზრდობა შეადგენს.

◆ **რომში** ბევრნი გამარჯვებას ამერიკელ და საბჭოთა კალათბურთელებს უნასწარმეტყველებენ. ახლა ორივე გუნდი იტალიის დედაქალაქში იმყოფება და მომავალი შეხვედრებისათვის ემზადება. ამერიკელ გუნდის მწვრთნელია ნიუიორკელი. მისი აზრით ამერიკის ოლიმპიური ნაკრები, რომელიც დაკომპლექტებულია ახალგაზრდა კალათბურთელებით, პირველობის მთავარი პრეტენდენტია. ამერიკელთა რიგებში ყველაზე დაბალ მოთამაშის ალენის სიმაღლე 176 სანტიმეტრია, ხოლო ყველაზე მაღალის ბელი — 207 სანტიმეტრი.

ინგლისელი სტუმრები

საქართველოში ორ დღეს იყვნენ სტუმრად დიდი ბრიტანეთის ლეიბორისტული პარტიის წევრები რ. ედვარტსი და ჰ. ჯენკინსი, რომლებიც საბჭოთა კავშირში ჩამოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით ამ პარტიის სხვა წევრთა ჯგუფთან ერთად.

ინგლისელი სტუმრები გაეცნენ თბილისს, იყვნენ ქალაქის სხვადასხვა რაიონში, შამპანური ღვინის ქარხანაში. ისინი გაემგზავრნენ მცხეთაში, სადაც დათვალიერეს ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლები, ნახეს საგურამოში ი. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი.

რ. ედვარტსი და ჰ. ჯენკინსი გაფრინდნენ ადლერს, საიდანაც წავლენ სოჭს. (საკდესი).

ამინდი

ამინდის ბიუროს ცნობით 24-დან 29 აგვისტამდე დასავლეთ საქართველოს სანაპირო და შიდა რაიონებში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, ამ პერიოდის პირველ ნახევარში ალაგ-ალაგ ელჭექი, ხანმოკლე წვიმა; მეორე ნახევარში — უმეტესად უნალექოდ, ქარი 0,5 მეტრი წამში. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში მინიმალური 12-17, მაქსიმალური 20-25 გრადუსი, მთიან რაიონებში მინიმალური 6-11, მაქსიმალური 17-22 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოს დასავლეთ და აღმოსავლეთ რაიონებში — ცვალებადი მოღრუბლულობა, დასავლეთ რაიონებში ალაგ-ალაგ ელჭექი, ხანმოკლე წვიმა, აღმოსავლეთ რაიონებში — უმეტესად უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი 3-7 მეტრი წამში, მტკვრის ხეობაში ამ პერიოდის პირველ ნახევარში დასავლეთის ქარი 10-15 მეტრი წამში. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში მინიმალური 13-18, მაქსიმალური — 22-27 გრადუსი, მთიან რაიონებში მინიმალური — 7-12, მაქსიმალური 16-21 გრადუსი.

რედაქტორი

დ. მეედლიშვილი.

ფეხბურთი

„ტორპედოსა“ და კიევის „დინამოს“ პირველი გამარჯვება

23 აგვისტოს დაიწყო უძლიერესთა ტურნირი ფეხბურთში სსრ კავშირის ჩემპიონის გამოსავლენებლად. ერთმანეთს პირველობას ეცილება ექვჯგუფებში გამარჯვებული სამ-სამი გუნდი. ესენი არიან: მოსკოვის „ტორპედოს“, „ლოკომოტივის“, ცსკა-სა და „დინამოს“, დონის როსტოვის სკა-ს და კიევის „დინამოს“ გუნდები.

გუშინ შედგა პირველი ორი მატჩი.

მოსკოვში ეთამაშოდნენ დედაქალაქის „ტორპედოსა“ და „დინამოს“ გუნდები. მატჩის შედეგია 1:0 ტორპედოელთა სასარგებლოდ.

კიევში ადგილობრივი დინამოელები შეხვდნენ მოსკოვის „ლოკომოტივის“ გუნდს. შეჯიბრება დამთავრდა კიეველთა გამარჯვებით 5:2.

XXVIII ჩემპიონატის ნახევარფინალები

დონის როსტოვში, ვოლგიუსსა და ოდესაში დაიწყო სსრ კავშირის XXVIII საკადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალური შეხვედრები, რომლებშიც მონაწილეობენ ჩვენი ქვეყნის გროსმაისტერები, ოსტატები, ოსტატობის კანდიდატები.

თვითეული ნახევარფინალიდან დასკვნითს ასპარეზობაში გამოსვლის უფლება ეძლევა 4 მოჭადრაკეს. საქართველოდან ნახევარფინალებში იბრძვიან ოსტატები ბ. გურგენიძე და ა. ბლაგიძე. ბ. გურგენიძე მონაწილეობას იღებს დონის როსტოკის ნახევარფინალში, ა. ბლაგიძე — ოდესის ნახევარფინალში.

მოსწავლეთა სპარტაკიადა

მინსკი. 22 აგვისტო. (**სპეც. კორ.**). გუშინ აქ ცენტრალურ სტადიონზე საზეიმოდ გაიხსნა მოსწავლეთა სპარტაკიადა. სპორტსმენთა პარადისა და მისალმებათა შემდეგ აღმართეს ალაში.

ამ დღეს გრძელდებოდა შეჯიბრება ფეხბურთში, ჩოგბურთში, მძლეოსნობაში, ფრენბურთში, წყალბურთსა და სპორტის სხვა სახეობებში. ფეხბურთელთა მატჩის შედეგები ასეთია: ლიტვა — ბერბაიჯანი 0:1, ესტონეთი — ბელორუსია 1:3, ლატვია — სომხეთი 1:1, საქართველო — მოლდავეთი 4:1.

დამთავრდა გუნდური შეჯიბრება ჩოგბურთში. საქართველოს ჭაბუკ და გოგონა ჩოგბურთელთა კოლექტივებმა დაამარცხეს ბელორუსიის გუნდები 5:2, 7:0. ამრიგად, ჭაბუკებმა პირველი ადგილი მოიპოვეს, გოგონებმა — მეორე, ხოლო საერთო გუნდური პირველობის გათამაშებაში — პირველი ადგილი.

მძლეოსნთა ასპარეზობაში საქართველოს გუნდი მეორე ადგილზეა. პირველ ადგილზეა ბელორუსიის გუნდი. ბადროს ტყორცნაში კარგი შედეგი აჩვენეს კ. გორძეიშვილმა და გ. გუდაშვილმა. თარჯრბენში — ა. ლანჩავამ, 800 მეტრზე რბენაში — ვ. პეტროსიანმა.

აგიტატორის ბლოკნოტი №16

გამოვიდა და ხელისმომწერებს დაიგზავნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ჟურნალი „აგიტატორის ბლოკნოტი“ № 16.

მფრინავების გმირობა

პირველი ეცა ბორტმექანიკოსი ტიმოთე ტერენტის-ძე რომაშკინი. თვითმფრინავის ეკიპაჟის დანარჩენმა წევრებმა მყისვე გამოიცნეს მისი მოქმედების გეგმა — გაეჩაღებინათ ბრძოლა, წაეკციათ ბანდიტები და იარაღი აეყარათ მათთვის.

გაისმა სროლა. პირველი რამდენიმე სროლით დაიჭრა ბორტმექანიკოსი რომაშკინი. მას სისხლი სდიოდა, მაგრამ შეიარაღებულ ბანდიტებთან ბრძოლას განაგრძობდა. ამასობაში გარანინმა თვითმფრინავის მართვა ავტოპილოტზე გადაიყვანა, თვითონ კი დაჭრილ რომაშკინს მიეშველა. ახლა ბრძოლამ თვითმფრინავის ბოლოსაკენ გადაინაცვლა. პისტოლეტის სროლისაგან კაბინაში ყველაფერი კვამლმა დაფარა. მალე ბანდიტები განაიარაღეს და შეკრეს. ძომხდარი ამბავი რადიოთი აცნობეს აეროდრომს. საიდანაც თვითმფრინავი გაფრინდა. აეროპორტიდან მიიღეს ბრძანება, ფრენა შეწყვიტეთ, უკან დაბრუნდითო. როცა თვითმფრინავი კვლავ შეეხო თვლებით ბეტონის ბილიკს, მისკენ უკვე მიჰქროდა „სასწრაფო დახმარების“ ავტომანქანა, ყოველი მხრიდან მორბოდნენ ადამიანები. ფრთხილად გამოიტანეს თვითმფრინავიდან ბორტმექანიკოსი რომაშკინი. იგი ცნობიერებადაკარგული იყო და მალე გარდაიცვალა მძიმე ჭრილობებისაგან. მგზავრები საფრთხეს გადარჩნენ.

**ისინი, ვინც საჰაერო ხომალდის ეკიპაჟზე ბანდიტური თავდასხმა მოახდინა ნაცადი ჯაშუშები, უცხოეთის ერთ-ეთი დაზვერვის აგენტები აღმოჩნდნენ. თავიანთ საზღვარგარეთელ ბატონებთან გადასვლის ხერხის ძებნისას მაინ შეიპარეს ბანდა, ბანდიტებმა ბანდიტ-ბანდიტ ერთმანეთს ბანდა ბანდიტ-ბანდიტ ერთმანეთს ბანდა ბანდიტ-ბანდიტ ერთმანეთს ბანდ